



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო
პროგრამების კლასტერის შესახებ

დიზაინის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (სტუ)

შეფასების თარიღ(ებ)ი: 2023 წლის 28-29 სექტემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 2023 წლის 12 დეკემბერი

თბილისი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ.....	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა.....	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.....	16
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა.....	16
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	34
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.....	44
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	48
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....	61

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	სსიპ- საქართველოს უნივერსიტეტი	ტექნიკური
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211 349 192	
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი	

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გვარი,	ბერნჰარდ კერნეგერი, ვენის გამოყენებითი ხელოვნების უნივერსიტეტი, ავსტრია
წევრი (სახელი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გვარი,	მაია გრძელიძე, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო
წევრი (სახელი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გვარი,	ილია ბოცვაძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გვარი,	ლუკა ბერაია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	დიზაინი	დიზაინი
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი, პირველი საფეხური	მაგისტრატურა, მეორე საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ხელოვნების ბაკალავრი დიზაინში	ხელოვნების მაგისტრი დიზაინში
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0212 მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული/სამრეწველო დიზაინი	0212 მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული/სამრეწველო დიზაინი
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ¹	---	---
სწავლების ენა	ინგლისური	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	240	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არაკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებულია N. 555, 28.09.2012	აკრედიტებულია N. 556, 28.09.2012

¹(მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ²**

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიზაინის ინგლისურენოვანი საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები 2012 წელს დამტკიცდა და მათი ფუნქციონირება დაიწყო 2013/14 სასწავლო წლიდან. პროგრამების დანერგვის აუცილებლობა განპირობებული იყო მსოფლიო შრომის ბაზარზე დიზაინის როლის გაზრდით და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამოცდილების, ამ პროგრამების კონკრეტულად საინჟინრო-ტექნოლოგიური მიმართულებით განხორციელების პოტენციალის გათვალისწინებით.

დიზაინის პროგრამები მომზადდა უმაღლესი განათლების ევროპული სტანდარტების შესაბამისად, ხოლო სწავლა-კვლევის პროცესს უზრუნველყოფს ადგილობრივი და უცხოელი მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი, რომელიც აქტიურად არის ჩართული სამეცნიერო და პრაქტიკულ საქმიანობაში, ფლობს პედაგოგიური და კვლევითი/პრაქტიკული საქმიანობის მეთოდებს, აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო გამოფენებში, კონკურსებში, ფორუმებში, კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და კონგრესებში.

საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მიზნით, ფაკულტეტების შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები მუდმივად თანამშრომლობენ ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან და დარგის სპეციალისტებთან. მათთან შეხვედრებისა და გამოკითხვების შედეგად მიღებული ინფორმაციის, მოსაზრებების, რეკომენდაციების და კონსულტაციების ანალიზის საფუძველზე, საგანმანათლებლო პროგრამებში შედის ცვლილებები.

აბიტურიენტების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების შესაბამისი რაოდენობა ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ ცხრილებში:

დიზაინის საბაკალავრო პროგრამა

პროგრამაზე გამოცხადებული სტუდენტთა ადგილების რაოდენობა (ბოლო 5 წლის განმავლობაში)	40	45	70	55	70
მონაცემები პროგრამის აპლიკანტების შესახებ (ბოლო 5 წლის განმავლობაში)	2018/19	2019/20	2020/21	2021/22	2022/23
პროგრამის აპლიკანტთა საერთო რაოდენობა	244	995	306	290	340

² პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

პროგრამის აპლიკანტთა რაოდენობა (პირველი სამი არჩევანი)	44	186	75	63	101
უცხოელი პირების რაოდენობა, რომლებსაც სურთ ჩაირიცხონ პროგრამაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)					
მონაცემები ჩარიცხულ პირებზე (ბოლო 5 წლის განმავლობაში)					
ჩარიცხული პირების რაოდენობა	22	36	49	50	68
პროგრამაზე ჩარიცხული უცხოელი პირების რაოდენობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	5	7	5	25	14
აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობა	169				

სტუდენტების პროგრესირება სასწავლო წლების მიხედვით (ბოლო 5 წლის განმავლობაში)	პირველი		მეორე		მესამე		მეოთხე		მეხუთე	
	n	%	n	%	n	%	n	%	n	%
- სტუდენტების რაოდენობა და პროცენტი პირველი სასწავლო წლისთვის	27	100	43	100	54	100	75	100	82	100
- მეორე სასწავლო წლის სტუდენტთა რაოდენობა და პროცენტი	17	63	27	62,8	47	87	49	65,3		
- მესამე სასწავლო წლის სტუდენტთა რაოდენობა და პროცენტი	11	40,7	23	53,5	27	50				
- მეოთხე სასწავლო წლის სტუდენტთა რაოდენობა და პროცენტი	10	37	13	30,2						
- მეხუთე სასწავლო წლის სტუდენტთა რაოდენობა და პროცენტი	-	-								
- მეექვსე სასწავლო წლის სტუდენტთა რაოდენობა და პროცენტი	-	-								
- შეწყვეტილი სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობა და პროცენტი	1	3,7	0	0	1	1,85	1	1,3	1	1,2
- შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობა და პროცენტი	12	44,4	17	39,5	22	40,7	24	32	8	10
კურსდამთავრებულთა რაოდენობა და პროცენტი	5	18,5								

დიზაინის სამაგისტრო პროგრამა

პროგრამაზე გამოცხადებული სტუდენტთა ადგილების რაოდენობა (ბოლო 5 წლის განმავლობაში)	40	25	26	16	16
---	----	----	----	----	----

მონაცემები პროგრამის აპლიკანტების შესახებ (ბოლო 5 წლის განმავლობაში)	2018/19	2019/20	2020/21	2021/22	2022/23
პროგრამის აპლიკანტთა საერთო რაოდენობა	-	-	-	-	-
პროგრამის აპლიკანტთა რაოდენობა (პირველი სამი არჩევანი)	-	-	-	-	-
უცხოელი პირების რაოდენობა, რომლებსაც სურთ ჩაირიცხონ პროგრამაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)					

მონაცემები ჩარიცხულ პირებზე (ბოლო 5 წლის განმავლობაში)

ჩარიცხული პირების რაოდენობა	8	5	10	6	9
პროგრამაზე ჩარიცხული უცხოელი პირების რაოდენობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	4	1	1	7	1
აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობა	18				

სტუდენტების პროგრესირება სასწავლო წლების მიხედვით (ბოლო 5 წლის განმავლობაში)	პირველი		მეორე		მესამე		მეოთხე		მეხუთე	
	n	%	n	%	n	%	n	%	n	%
- სტუდენტების რაოდენობა და პროცენტი პირველი სასწავლო წლისთვის	13	100	6	100	11	100	13	100	10	100
- მეორე სასწავლო წლის სტუდენტთა რაოდენობა და პროცენტი	8	61,5	5	83,3	9	81,8	8	61,5		
- მესამე სასწავლო წლის სტუდენტთა რაოდენობა და პროცენტი										
- მეოთხე სასწავლო წლის სტუდენტთა რაოდენობა და პროცენტი										
- მეხუთე სასწავლო წლის სტუდენტთა რაოდენობა და პროცენტი										
- მეექვსე სასწავლო წლის სტუდენტთა რაოდენობა და პროცენტი										
- შეწყვეტილი სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობა და პროცენტი	1	7,6			1	9,09	2	15,4		
- შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობა და პროცენტი	7	53,8	3	50	3	27,3	3	23,08	1	10
კურსდამთავრებულთა რაოდენობა და პროცენტი	4	30,8	2	33,3	6	54,5				

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ვიზიტი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში (სტუ) შედგა 2023 წლის 28 და 29 სექტემბერს. დიზაინის საერთაშორისო სკოლამ დიდი ძალისხმევა გაწია, რომ ვიზიტი ყოფილიყო ნაყოფიერი, დისკუსიები კი ღია. ექსპერტთა ჯგუფი გრძნობდა დაწესებულებისგან პატივისცემას; ამიტომაც, მასპინძლობისთვის გვსურს კიდევ ერთხელ გადავუხადოთ მადლობა მათ. პროცესი პროფესიონალურად და შეუფერხებლად წარიმართა, პროგრამების ხელმძღვანელთან ონლაინ შეხვედრის აუცილებლობამაც კი არანაირად არ შეუშალა ხელი ჩვენს დისკუსიებს. დადგენილმა დღის წესრიგმა საშუალება მოგვცა დეტალურად განგვეხილა ყველა შესაბამისი კითხვა, შესაძლებელი იყო დღის წესრიგში აუცილებელი მცირე ცვლილებების შეტანა როგორც წინასწარ და ასევე თავად ვიზიტის დროს.

შევხვდით ძალიან მოტივირებულ და თავდადებულ ადამიანებს, პედაგოგებს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებსა და ადმინისტრაციას. დაგვრჩა ძლიერი განცდა იმისა, რომ კლასტერში დაჯგუფებული დიზაინის პროგრამები არის მთელი გუნდის მხრიდან ერთობლივად გაწეული ძალისხმევით შედეგი და ყველა ცდილობს, რომ მის განვითარებაში მაქსიმალური წვლილი შეიტანოს.

როგორც დიზაინის სფეროში მომუშავე საკმაოდ მცირე ზომის ერთეული, დიზაინის საერთაშორისო სკოლა შედარებით უფრო მაღალი გამოწვევების წინაშე დგას, რათა სრულად დააკმაყოფილოს აკრედიტაციის ყველა სტანდარტი, პროცედურულ საკითხებზე და ეროვნულ სტანდარტებზე დასახარჯად არსებული რესურსების გათვალისწინებით, რომლებიც ამკარად არ არის მორგებული მცირე ზომის ხელოვნებისა და დიზაინის სკოლებზე. ამ პრობლემურ სიტუაციაზე პირდაპირი რეაგირების მიმართ - მაგალითად, ადმინისტრაციულ და განვითარების პროცესებში თითოეული მასწავლებლის უფრო ინტენსიური ჩართულობის კუთხით - გარკვეული ყოყმანი გამოვლინდა თვითშეფასების ანგარიშში (SER) და ასევე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებისას.

მიუხედავად იმისა, რომ ვისურვებდით უნივერსიტეტთან ამ საკითხების უფრო ღიად განხილვას, გვესმის, რომ არსებული აკრედიტაციის პროცედურები, მათი პოტენციურად საშიში საბოლოო შედეგებით, არ უწყობს ხელს ხარვეზებზე ღიად საუბარს. გარკვეულწილად, თავად ეროვნული ჩარჩო, თავისი ძალიან დეტალური და მკაცრი სტანდარტებით, რომლებიც ყველა უსდ-ზე ერთნაირად გამოიყენება, ართულებს ასეთ ღია დისკუსიებს.

შედეგად, ჩვენ მივმართავთ რჩევით არა სტუ-ს, არამედ ეროვნულ ხელისუფლებას: ეროვნული სტანდარტებისა და მათგან გამომდინარე აუცილებლობებისა და ზეწოლის შეფასებისას, როდესაც ნერგავთ ადეკვატურ პროცედურებს, განსაკუთრებით უნდა მიიღოთ მხედველობაში მცირე ზომის დაწესებულების განსაკუთრებული მდგომარეობა, მით უფრო სახელოვნებო დარგის საგანმანათლებლო დაწესებულების სპეციფიკა. ამ

სფეროში სასწავლო პროგრამებს გაცილებით მეტი რესურსი სჭირდება, ვიდრე სხვა სასწავლო პროგრამების უმეტესობას, და ხელოვნების საგანმანათლებლო დაწესებულებებს არ შეუძლიათ ისარგებლონ მასშტაბის ეკონომიით ისე, როგორც ამას აკეთებენ უფრო დიდი ინსტიტუტები, მაშინაც კი, თუ ისინი უფრო დიდი დაწესებულებების შემადგენელი ნაწილი არის, როგორც ეს სტუ-ის შემთხვევაშია. ამ სიტუაციის პასუხისმგებლიანი მოგვარების მიზნით, ადეკვატური იქნება დამატებითი სახელმწიფო დაფინანსება ან ნაკლებად მკაცრი მიდგომა ზოგიერთ სტანდარტთან დაკავშირებით (რაც გამართლებულია ასეთ დაწესებულებებში მასწავლებლებსა და სტუდენტებს შორის და მასწავლებლებსა და ადმინისტრაციას შორის უფრო მჭიდრო ურთიერთობებით).

დამატებითი კომენტარი, ექსპერტთა ჯგუფის საერთაშორისო თავმჯდომარის გადმოსახედიდან: მთელი ევროპის მასშტაბით, არსებობს ხარისხის უზრუნველყოფის სხვადასხვა მიდგომა და სისტემა, ყველა დაკავშირებულია *ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებთან და სახელმძღვანელო პრინციპებთან (ESG 2015)*. ეროვნულ სისტემებს აქვთ სრული თავისუფლება, მხედველობაში მიიღონ ეროვნული სპეციფიკა და ისინი ირიბად განიხილებიან, ENQA-ს წევრობაზე განაცხადის შეტანითა და EQAR-ში რეგისტრაციით.

საქართველომ ამ დროისთვის ძალიან მკაცრი ჩარჩო აირჩია, ისეთი ელემენტებით, რომლებიც გვხვდება სხვადასხვა ეროვნულ სისტემაში, რითაც ერთ ეროვნულ სისტემაში გაერთიანებულია სხვადასხვა ქვეყნის დატვირთული მიდგომები (მაგ. თითოეული სასწავლო პროგრამის რეგულარული აკრედიტაცია, სწავლის შედეგების დეტალური აღწერა და შეფასება, კონკრეტული საგნის ჩარჩოები და მრავალი სხვა). თუ გავითვალისწინებთ საქართველოს კონტექსტს, რომელიც, როგორც ჩანს, ზოგადად, ევროკავშირის ბევრ წევრ სახელმწიფოსთან შედარებით ხასიათდება რეგულაციების დაბალი დონით, შესაძლოა სასარგებლო იყოს უფრო ფოკუსირებული და ნაკლებად ყოვლისმომცველი მიდგომის დანერგვა, მეტი რესურსის გამოყოფა საგანმანათლებლო შინაარსისთვის და ნაკლები რესურსების დათმობა ხარისხის ყველა შესაძლო სფეროს უზრუნველყოფისთვის. თუკი უფრო მეტ ყურადღებას დაუთმობთ ბალანსს აუცილებელ ხარჯებსა და აკრედიტაციის ყველა სტანდარტისა და ქვესტანდარტისთვის განხორციელებული აქტივობებით მიღწეულ კონკრეტულ დადებით ეფექტებს შორის, ეს შესაძლოა უფრო სასარგებლო იყოს მთლიანად ეროვნული სისტემისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

საერთო შთაბეჭდილების შესაბამისად, ორივე პროგრამისთვის ქვესტანდარტების უმეტესობა შეფასდა როგორც „მოთხოვნებთან შესაბამისობაში“, ყველა დანარჩენი კი როგორც „მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან.“ ამგვარად, ექსპერტთა ჯგუფი ცდილობს, დაწესებულებას დაეხმაროს სამომავლო განვითარებაში და ამ მიზნით

შეიმუშავა ფართო სპექტრის რჩევები, რომლებიც გამომდინარეობს ეროვნული და საერთაშორისო ცოდნიდან და გამოცდილებიდან.

რაც შეეხება *საბაკალავრო პროგრამას*, აკრედიტაციის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაში შეფასებული სტანდარტებია:

1.1, 1.2, 1.3, 1.4, 2.2, 2.3, 2.4, 3.2, 4.1, 4.2, 4.3, 4.4, 4.5, 5.1, 5.2, და 5.3

სტანდარტები, რომლებიც შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან“:
1.5, 2.1, და 3.1.

რაც შეეხება *სამაგისტრო პროგრამას*, აკრედიტაციის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაში შეფასებული სტანდარტებია:

1.1, 1.2, 1.3, 1.4, 1.5, 2.1, 2.2, 2.3, 3.2, 4.1, 4.2, 4.3, 4.4, 4.5, 5.1, 5.2, და 5.3

სტანდარტები, რომლებიც შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან“:
2.4, და 3.1.

რეკომენდაციები

სტანდარტი 1.5

- *მხოლოდ საბაკალავრო პროგრამისთვის*: სერიოზულად გადაამოწმეთ კურსებისა და პროგრამების სწავლის შედეგების შესაბამისობის ცხრილი და წამალეთ ზოგიერთი მითითება იქ, სადაც ისინი არ არის სრულად ადეკვატური შესაბამისი კურსისთვის.

სტანდარტი 2.1

- *მხოლოდ საბაკალავრო პროგრამისთვის*: უკეთეს შესაბამისობაში მოიყვანეთ შემოქმედებითი ტურის კრიტერიუმები პროგრამის სწავლის შედეგებთან.

–

სტანდარტი 2.4

- *მხოლოდ სამაგისტრო პროგრამისთვის*: მოარგეთ სამაგისტრო ნაშრომის შეფასების რეგულაციები ისე, რომ ისინი შეესაბამებოდეს შეფასების კომიტეტის მიერ გამოყენებულ პრაქტიკას, რომელიც ღიად განიხილავს ნაშრომს და ერთობლივად წყვეტს შეფასებას.

სტანდარტი 3.1

- ონლაინ პლატფორმაზე VICI, მიეცით საშუალება სტუდენტებს, წარმოადგინონ ნებისმიერი სახის შეტყობინება ელექტრონული ფორმით;

რჩევები

სტანდარტი 1.1

- მიუხედავად გამოწვევებისა, გადადგით შემდგომი გაბედული ნაბიჯები ეკონომიკური საჭიროებებისა და საზოგადოების პასუხისმგებლობის დასაბალანსებლად, იმის

შესაბამისად, რაც უკვე გამოხატულია სტუ-ს მისიაში, სტრატეგიასა და საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებში.

- იმსჯელებს სტუ-სა და დიზაინის საერთაშორისო სკოლის შესაძლებლობებზე, დაიწყოს დისკურსი უნივერსიტეტსა და საზოგადოებას შორის, რათა გამოავლინონ მდგრადი განვითარების ხელშემწყობი ინოვაციური პოტენციალი რეგიონულ და ეროვნულ დონეზე, ნაცვლად მხოლოდ ევროპის მრავალ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების რეპროდუცირებისა.
- *მხოლოდ საბაკალავრო პროგრამისთვის:* დარწმუნდით, რომ პროგრამის მიზნების ყველა ნაწილი ეხება ამბიციების ერთსა და იმავე დონეს, განსაკუთრებით „დიზაინის საფუძვლების“ ნაწილში.
- *მხოლოდ სამაგისტრო პროგრამისთვის:* მოახდინეთ ინტერდისციპლინური (და ტრანსდისციპლინური) მიდგომების, როგორც გლობალური გამოწვევების დაძლევისა და მდგრადი განვითარების საშუალების, ინტეგრირება პროგრამის მიზნებში.

სტანდარტი 1.2

- მხოლოდ საბაკალავრო პროგრამისთვის: პროგრამის მიზნების სრული შესაბამისობისთვის, შეცვალეთ პროგრამის სწავლის შედეგები დიზაინერების ცნობიერების ამაღლების გათვალისწინებით და საჭირო კომპეტენციების გადაცემით, რათა მზად იყვნენ „ადამიანის მიერ წარმოქმნილ და ბუნებრივ გარემოში გაჩენილი სულ უფრო აქტუალური კითხვებისთვის“, როგორც ისინი სამაგალითოდ არის განხილული თვითშეფასების ანგარიშში;
- *მხოლოდ სამაგისტრო პროგრამისთვის:* პროგრამის მიზნებთან კიდევ უფრო უკეთესი შესაბამისობის მისაღწევად, გააფართოვეთ პროგრამის სწავლის შედეგები, ცნობიერების ამაღლებითა და ყველა იმ საჭირო კომპეტენციების დამატებით, რომელიც საჭიროა „ადამიანის მიერ ხელოვნურად შექმნილ და ბუნებრივ გარემოში არსებულ მზარდად მწვავე საკითხებისთვის“, როგორც ეს სამაგალითოდ არის განხილული თვითშეფასების ანგარიშში და ასევე ნაჩვენებია არაერთი კურსის სილაბუსში.

სტანდარტი 1.3

- დარწმუნდით, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი იღებს სათანადო მხარდაჭერას და ტრენინგებს, რათა განივითაროს უნარები დიზაინსა და სწავლის შედეგების გაზომვასა და გაანალიზებაში.

სტანდარტი 1.4

- შექმენით დოკუმენტი, რომელიც პროგრამის წინა ვერსიის სტუდენტებისთვის აღწერს სტრუქტურულ ცვლილებებს, სადაც გამოვლენილი იქნება ცვლილებების მასშტაბი და მიწოდებული იქნება ინფორმაცია ახალ პროგრამაზე სტუდენტთა მობილობის წესით გადასვლისას აღიარებული და განსხვავებული კრედიტების შესახებ.
- გააფართოვეთ პრაქტიკული/ტექნოლოგიური მუშაობის შესაძლებლობების სფერო, იქნება ეს წარმოების დამატებითი საშუალებები, თუ სტუ-ს შიგნით სხვა შესაბამის სფეროებთან კავშირების შექმნა (მაგ. მოდის/ტექსტილის დიზაინი);
- *მხოლოდ საბაკალავრო პროგრამისთვის:* დაამატეთ სასწავლო კურსი (მინიმალური შესაძლო კრედიტებით), რომელიც მოიცავს საინჟინრო გრაფიკის ელემენტებს;

- მხოლოდ საბაკალავრო პროგრამისთვის: შეიმუშავეთ დამატებითი (Minor) პროგრამა მიმდინარე ძირითადი პროგრამის საფუძველზე და შესთავაზეთ იგი სხვა საბაკალავრო პროგრამების სტუდენტებს;
- მხოლოდ სამაგისტრო პროგრამისთვის: პროგრამის სწავლის შედეგებისა და კურსის სტრუქტურის შესაბამისად გადამუშავდეს სამაგისტრო ნაშრომის განმარტება, რომელიც მოიცავს თეორიული ნაწილის თანაბარ პრაქტიკულ ნაწილს.
- მხოლოდ სამაგისტრო პროგრამისთვის: დანერგეთ შესავალი სასწავლო კურსი, რომელიც სტუდენტებს მისცემს იმ აუცილებელ ცოდნასა და უნარებს, რაც მათ დაეხმარება ავტონომიურად დაგეგმონ და შეასრულონ სამაგისტრო ნაშრომი.
- მხოლოდ სამაგისტრო პროგრამისთვის: გამონახეთ გზები, რომ მოახდინოთ სხვა დისციპლინების საბაკალავრო პროგრამების კურსდამთავრებულთა კომპეტენციების აშკარად ინტეგრირება, რაც ღირებული პოტენციალი იქნება სტუდენტთა მთელი ჯგუფისთვის.

სტანდარტი 2.1

- სპეციალობის გამოცდის ფარგლებში ტექნიკური (კომპიუტერული პროგრამის) კომპეტენციის გარდა, განიხილეთ შემოქმედებით ასპექტზე აქცენტირება და დავალებებისა და შეფასების მეთოდების შესაბამისად ადაპტირება.

სტანდარტი 2.2

- კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა მიანიჭეთ სტუდენტურ ღონისძიებებს და დროდადრო მოაწყეთ ერთობლივი ღონისძიებები, კონკურსები და გამოფენები მომიჯნავე დარგების პროგრამების სტუდენტებთან, ასევე სხვა უნივერსიტეტების სტუდენტებთან ერთად, ამგვარად გაზარდეთ სტუდენტთა გამოცდილება და გააფართოვეთ თანამშრომლობითი საქმიანობის არეალი.

სტანდარტი 2.3

- კოლეგიალური დაკვირვების პრაქტიკის დანერგვა და მისი სათანადო დოკუმენტირება, რაც ხელს შეუწყობს არა მხოლოდ სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალის პასუხისმგებლობის გრძნობის მაღალ დონეზე შენარჩუნებას, არამედ მონიტორინგში მონაწილე პერსონალის პროფესიული უნარების გაფართოებას და გამოცდილების გაზიარებას.
- დარწმუნდით, რომ სილაბუსებში ნახსენები სწავლებისა და სწავლის შეჯამებული მეთოდები ზუსტად ემთხვევა კურსის ერთეულებისთვის აღწერილ ფაქტობრივ აქტივობებს და განაახლეთ სილაბუსები საჭიროების შემთხვევაში.

სტანდარტი 3.1

- სასურველია ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის შემდგომი გაუმჯობესება, გაცვლითი პროგრამებისა და მობილობით წასული სტუდენტების რაოდენობის გაზრდით.

სტანდარტი 4.3

- შეინარჩუნეთ და, თუ ეს შესაძლებელია, გააძლიერეთ საერთაშორისო აქტივობები, რადგან ისინი საკვანძოა პერსონალისთვის სასარგებლო განვითარებისთვის და

ქართულ ინსტიტუტებს შორის ცოდნის გადაცემისათვის და საერთაშორისო განვითარებისთვის.

- ჩამოაყალიბეთ რამდენიმე სპეციალიზებული (არაა საჭირო ბევრი) შეთავაზება სწავლებისა და სწავლის მეთოდების სფეროში, რაც ცალსახად მორგებული იქნება დიზაინის განათლების საჭიროებებზე;
- პროგრამის ხელმძღვანელებს შესთავაზეთ რამდენიმე მიმზიდველი და მათზე მორგებული ტრენინგის შესაძლებლობები.

სტანდარტი 4.4

- შექმენით სტუდენტებისთვის სახელოსნოს ყველა ობიექტის და წარმოების/ექსპერიმენტების შესაძლებლობების მიმოხილვა, გამოყენების პირობების შესახებ შესაბამის ინფორმაციასთან ერთად;
- შეამოწმეთ უსაფრთხოების ზომები ყველა სახელოსნოში, მათ შორის შეამოწმეთ ხის ცენტრალური საამქროს ელექტრული კაბელები;
- შეიმუშავეთ განვითარების სტრატეგია სახელოსნოებისა და დამატებითი ტექნოლოგიების გაფართოებასთან დაკავშირებით, საკუთარი რესურსებისა და გარე პროვაიდერებთან გააქტიურებული თანამშრომლობის კომბინაციით;

სტანდარტი 5.1

- გამოიჩინეთ უფრო გამჭვირვალე დამოკიდებულება მომდევნო თვითშეფასებისას და გაბედეთ, რომ ასევე გააზიაროთ გადაუჭრელი საკითხები, რომლებიც თქვენთვის ცნობილია როგორც გასაუმჯობესებელი მხარე, რათა მაქსიმალური სარგებელი მიიღოთ გარე შემფასებლებისგან.

სტანდარტი 5.3

- დარწმუნდით, რომ კურსის შეფასების შედეგები ხელმისაწვდომია ყველა პასუხისმგებელი პედაგოგისთვის (ასევე მხოლოდ დადებითი გამოხმაურების შემთხვევაში) და ასევე მოწვეული პერსონალისთვის; დარწმუნდით, რომ არსებობს თუნდაც დაბალი დონის კომუნიკაცია ამის შესახებ.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა

- სტუ-ს საერთაშორისო დიზაინის სკოლამ წარმატებით დაამკვიდრა **სტუდიური პრაქტიკა**, როგორც საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის ცენტრალური ელემენტი. ეს ფორმატი სტუდენტებს საშუალებას აძლევს, ერთმანეთთან დააკავშირონ კომპეტენციები სხვადასხვა კურსებიდან და განავითარონ პროექტზე მუშაობის ავტონომიური უნარები, კომპეტენტური ზედამხედველობის ქვეშ. არა მხოლოდ მიღწეული შედეგი, არამედ ამ პრაქტიკის დანერგვის პროცესი საუკეთესო პრაქტიკის მაგალითად ითვლება ექსპერტთა ჯგუფის მიერ.
- სტუ-მ ზოგადად, ხოლო საერთაშორისო დიზაინის სკოლამ, უფრო კონკრეტულად, გამოავლინა რომ „წვლილის შეტანა ჩვენი (გლობალური) საზოგადოების უფრო მდგრადი განვითარებისთვის“ არის პასუხისმგებელიანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მნიშვნელოვანი ამოცანა. არა მხოლოდ ბაზრის პარადიგმებისა და მომხმარებელთა მოთხოვნების დაცვა, არამედ უფრო დიდ სურათზე კომპეტენტური მუშაობა წარმოადგენს უნივერსიტეტის განმასხვავებელ მახასიათებელს;

უნივერსიტეტი იყენებს თავის რესურსებსა და აკადემიურ თავისუფლებას საზოგადოების სასარგებლოდ.

- სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში მუშა გადაწყვეტილებების ძიება, როდესაც ერთის მხრივ გყავს სტუდენტები, რომელთაც ბაკალავრიატზეც დიზაინის სფეროში აქვთ ცოდნა მიღებული და ასევე გყავს სტუდენტები, რომელთაც სხვა დარგში აქვთ ცოდნა მიღებული, უფრო **მრავალფეროვანი მიდგომების, დამოკიდებულებების და თანამშრომლობის გზების მოძიების** საშუალებას იძლევა. მიუხედავად იმისა, რომ ეს პოტენციალი ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის ათვისებული, საუკეთესო პრაქტიკის პოტენციალი ეჭვგარეშეა.
- სტუ-ს დიზაინის საერთაშორისო სკოლამ კარგად იცის, თუ რა **ფინანსური დაბრკოლებები** შეიძლება შეხვდეთ სტუდენტებს სწავლის დროს. მოცემული სამართლებრივი ჩარჩოების მიუხედავად გარკვეული მოქნილობის გამონახვა, როგორცაა ინდივიდუალური საგანგებო მხარდაჭერა ან გადახდის თარიღების გადანაწილება, სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანი გზავნილია: რომ მათი განათლება აღიქმება არა როგორც პერსონალური საკითხი, არამედ როგორც ღირებული ამოცანა - რომ სტუდენტებს საზოგადოებაში შეაქვთ წვლილი.

ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე

დასკვნის თაობაზე ტექნიკური უნივერსიტეტის კომენტარების მიღების შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა არგუმენტები და გადაწყვიტა, რიგ შემთხვევებში რეაგირება მოეხდინა ანგარიშის პროექტზე გარკვეული ცვლილებებით, ზოგიერთ შემთხვევებში კი შეენარჩუნებინა თავდაპირველი პოზიცია. უფრო დეტალურად:

- სტანდარტი 1.2 (საბაკალავრო პროგრამა)
- საინტერესო იქნებოდა ამ დისკუსიის პირად შეხვედრაზე გაგრძელება, ვინაიდან ის ეხება დიზაინის შესაბამისობას ჩვენი გლობალური საზოგადოების ნათელი მომავლის შექმნისთვის ზოგიერთ პირველხარისხოვან საკითხს. ექსპერტთა ჯგუფისთვის და განსაკუთრებით უცხოელი თავმჯდომარის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ის, რომ მდგრადი განვითარება, სხვა მრავალი რელევანტური ასპექტებიდან როგორც მხოლოდ ერთ-ერთი იყოს ჩართული ისე, როგორც ეს არის სწავლის შედეგი 5-ში, ანდა იქნეს გაგებული, როგორც დიზაინერის (მომავალი) პროფესიის ძირითადი ელემენტი, როგორც ეს განიხილება სწავლის შედეგი 2-ში (სადაც საკითხი ამჟამად არ არის შეტანილი).

მიუხედავად ამისა, ვინაიდან ეს არ არის შეფასების სტანდარტის არსებითი ნაწილი, ექსპერტთა ჯგუფმა მიზანშეწონილად მიიჩნია ამ რეკომენდაციის შეცვლა რჩევად.

- სტანდარტი 1.5 (ორივე პროგრამა)
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მხრიდან ამ საკითხის გაგება ძალიან დასაფასებელია. რაც შეეხება ხის დამუშავების მაგალითს (საბაკალავრო პროგრამაში), შესაძლოა არსებობდეს თარგმანის პრობლემა მოდელირებასა და პროტოტიპებს შორის - ამიტომ ეს მაგალითი ამოვიღეთ ანგარიშიდან.

- სტანდარტი 2.1 (სამაგისტრო პროგრამა)

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გაგება საბაკალავრო პროგრამაზე მისაღები გამოცდების შესახებ ძალიან დასაფასებელია. იმის გამო, რომ სამაგისტრო პროგრამის მისაღები გამოცდა დეტალურად არ განხილულა, ექსპერტთა ჯგუფი მადლობას უხდის საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს პროცედურის დამატებითი ახსნისთვის, რამაც ექსპერტთა ჯგუფს საშუალება მისცა გადაეტანა თავდაპირველი რეკომენდაცია სამაგისტრო პროგრამის რჩევაში.

- სტანდარტი 2.2 (ორივე პროგრამა)

- საკითხის ხელახალი შემოწმების შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თვალსაზრისს, რომ ამ სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

- სტანდარტი 2.4 (სამაგისტრო პროგრამა)

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მხრიდან ამ საკითხის გაგება ძალიან დასაფასებელია. ექსპერტთა ჯგუფი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, რომ იგი აფასებს შეფასების პრაქტიკას, როგორც ეს აღინიშნა გასაუბრებების დროს, თუმცა საერთო რეგლამენტში აღწერილი ფარული კენჭისყრა, როგორც ჩანს, ეწინააღმდეგება დიზაინის უმაღლესი განათლების სფეროს შესაბამისი საგამოცდო პროცედურის აუცილებლობას.

- სტანდარტი 3.1 (ორივე პროგრამა)

- მიუხედავად იმისა, რომ არანაირი საფუძველი არ გვაქვს ეჭვი შევიტანოთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დამატებით განმარტებებში, ვიზიტის დროს, პასუხისმგებელმა პირებმა გვითხრეს, რომ VICI პლატფორმა ჯერ არ აძლევს სტუდენტებს ოფიციალური მოთხოვნების ელექტრონულად შეტანის საშუალებას. იმის გამო, რომ საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა არ მოგვაწოდა დამატებითი მტკიცებულებები, როგორცაა ევრანის ანაბეჭდები, ამ მიმდინარე პროცედურაში მხოლოდ ჩვენი რეკომენდაციის დაცვა შეგვიძლია.

ვინაიდან სტუ-ს არგუმენტირებული პოზიციიდან გამომდინარე, VICI სისტემა უკვე ასრულებს აღნიშნულ მიზნებს, ამ რეკომენდაციის გადასაჭრელად დაწესებულებას არანაირი გამოწვევა არ ექნება.

• **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

რამდენადაც პროგრამა მნიშვნელოვნად შეიცვალა მიზნების, სტრუქტურის, შინაარსის, სწავლებისა და სწავლის მეთოდების კუთხით და ეს ახალი მიდგომა შეფასდა, როგორც ძალიან წარმატებული და საუკეთესო პრაქტიკის ნაწილი, წინა აკრედიტაციის პროცედურის შედეგად გაცემულ რეკომენდაციებსა და რჩევებზე ყურადღებით დაკვირვება აქ არ მოხდება.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებამ თავად ჩაატარა განხორციელებული ცვლილებების ვრცელი ანალიზი. ეს ანალიზი შედის სტუ-ს თვითშეფასების ანგარიშში.

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) მისიაა მოქალაქეობრივი ცნობიერების, ეროვნული და საკაცობრიო ღირებულებების მატარებელი კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, კვლევების, განათლების და ტექნოლოგიების ახალი შესაძლებლობების შეთავაზება, ქვეყანაში ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობის ხელშეწყობა და საერთაშორისო ეკოსისტემაში ინტეგრირებისათვის ინოვაციური საქმიანობის წარმართვა. ამ მისიის შესაბამისად, ისევე როგორც სწრაფად ცვალებადი სამყაროს გამოწვევებისა და საზოგადოების მზარდი მოთხოვნების გათვალისწინებით, დიზაინერის პროფესიით დაკავებული ადამიანები დგანან ამოცანის წინაშე, რომ წვლილი შეიტანონ ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანაში - ბუნებრივი და ანთროპოგენური გარემოს განვითარებასა და სრულყოფაში. ეს ამოცანა მოიცავს მდგრად განვითარებაზე დაფუძნებულ მიდგომებს, რომელთა განხორციელება მხოლოდ შესაბამისი ცოდნითა და ღირებულებებით აღჭურვილ სპეციალისტებს შეუძლიათ.

მოწვეული ექსპერტები აფასებენ იმ ფაქტს, რომ სტუ-ს გააზრებული აქვს საკუთარი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და შექმნა ორი სასწავლო პროგრამა იმ მიზნით, რომ განათლება მისცეს ისეთ დიზაინერებს, რომლებიც გადაჭრიან აქტუალურ პრობლემებს საკუთარი პროფესიული პრაქტიკით. დიზაინის დარგის განათლებისთვის და ზოგადად დიზაინერებისთვის, დიდი გამოწვევაა ბალანსის დაჭერა ორ მამორდავებელ ძალას შორის: ერთის მხრივ, აუცილებელია რეაგირება ბაზარზე ორიენტირებულ მოთხოვნებზე, მომხმარებლებზე, რომლებსაც სურთ კარგად შემუშავებული და ინოვაციური პროდუქტები, რასაც შედეგად მოაქვს ბაზრისა და ახალი პროდუქტების რაოდენობის ზრდა. მეორე მხრივ, სერიოზული გლობალური საზოგადოებრივი გამოწვევების წინაშე, დიზაინერები პასუხისმგებელი არიან ყოვლისმომცველი რეაგირება მოახდინონ მდგრადობის საკითხებზე მაგ. მწვანე ეკონომიკის მიდგომების დანერგვით, წრიული ეკონომიკის განვითარებაში წვლილის შეტანით ან არამომხმარებლური ქცევის აზროვნების გაძლიერებით.

ცხადია, ამ ურთიერთგამომრიცხავი გავლენებისა და მოთხოვნების მართვა არ არის ადვილად მისაღწევი ამოცანა, მაგრამ ჩვენ მოვუწოდებთ სტუ-ს, ეტაპობრივად გადადგას შემდგომი გაბედული ნაბიჯები, იმის შესაბამისად, რაც უკვე გამოხატულია მის მისიაში, სტრატეგიასა და შესაბამის სასწავლო პროგრამის მიზნებში. ამით, სტუ-ს შეუძლია დიდი წვლილი შეიტანოს გაეროს 2030 დღის წესრიგისა და მისი მდგრადი განვითარების 17 მიზნის (SDGs) მიმართულებით. ამავე კუთხით, რეკომენდებულია საერთაშორისო აქტივობებისა და გაცვლითი პროგრამების გააქტიურება.

საერთაშორისო ექსპერტს, რომელიც ასევე ღრმად არის ჩართული ავსტრიის საუნივერსიტეტო პროექტში UniNEtZ სურს დამატებითი კომენტარის გაკეთება - უნივერსიტეტები და მდგრადი განვითარების მიზნები,2: ევროპა და მთელი დასავლური სამყარო უზარმაზარი გამოწვევების წინაშე დგას მიმდინარე კლიმატური კატასტროფის, ბიომრავალფეროვნების დაკარგვისა და სხვა მანე პრობლემების კონტექსტში. დამოკიდებულებისა და ქცევის მნიშვნელოვანი ცვლილებებია საჭირო, განსაკუთრებით მომხმარებელთა განსხვავებულ ქცევასთან და განვითარების სხვადასხვა ფორმასთან მიმართებით. საქართველოსთვის დიდი შესაძლებლობა იქნება თუკი იპოვის ეროვნული განვითარების მდგრად გზას, განვითარების სხვა წერტილიდან დაწყებით და ნაკლები ზიანის მიყენებით. ეს მოითხოვს დიდ სტრატეგიულ და პრაქტიკულ მუშაობას; ეს არ გულისხმობს იმ სამომავლო ნარატივისკენ მიზანსწრაფვას, რომელიც დაკავშირებულია ყველა ევროპული ქვეყნის ამჟამინდელ არამდგრად სტატუსთან, არამედ ეს გულისხმობს ისეთი საზოგადოებრივი სიტუაციის მონახაზის შექმნას, რომლადაც უნდა გარდაიქმნან ეს ევროპული სახელმწიფოები.

შეიძლება აღმოჩნდეს, რომ საქართველოსთვის ამ სიტუაციისკენ მიმავალი გზა უფრო მოკლეა და ნაკლებად არის დაკავშირებული მწვანე ეკონომიკის რთულ საკითხებთან, ვიდრე ბევრი სხვა ევროპული სახელმწიფოსთვის. რა თქმა უნდა, ეს სულაც არ არის

მარტივი საქმე, მაგრამ ეს არის რეალური შესაძლებლობა, რომ მიმდევარი ქვეყნის პოზიციიდან წამყვანი ქვეყნის პოზიციაზე გადახვიდეთ, იმის ნაცვლად, რომ დიდი ხნის განმავლობაში ბოლომდე ვერ დაეწიოთ სხვებს.

როგორც უნივერსიტეტს, სადაც ტექნოლოგიური კომპეტენციები და შემოქმედებითი აზროვნება ერთმანეთს უკავშირდება, სტუ-ს და დიზაინის საერთაშორისო სკოლას შეუძლია ითავოს ასეთი დისკუსიების წამოწყება, საერთაშორისო ანალიზისა და რეგიონული/ეროვნული ცოდნის გაერთიანებით, რათა შთააგონოს საქართველოში არსებული სიტუაციისთვის ადეკვატური მდგრადი განვითარების რეალური სტრატეგია.

დავუბრუნდეთ ოფიციალურ დონეს: ინგლისურენოვანი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის განსაზღვრული, რეალისტური და მიღწევადია. თითოეული პროგრამის მიზნები შეესაბამება მე-6 დონის საკვალიფიკაციო აღმწერსა და კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს მეშვიდე დონეს, შესაბამისად. ასევე, პროგრამები შეესაბამება სწავლის სფეროების აღმწერის დეტალური სფეროების შინაარსს (0212- მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული/სამრეწველო დიზაინი), „დიზაინის, სამრეწველო დიზაინის, მოდის დიზაინისა და ტექსტილის დიზაინის“ დარგობრივ მახასიათებლებსა და სტუ-სა და მისი დიზაინის საერთაშორისო სკოლის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

პროგრამის აღწერილობები საჯაროა და ხელმისაწვდომია როგორც დაინტერესებული პირებისთვის, ასევე ფართო საზოგადოებისთვის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიზაინის საერთაშორისო სკოლის ვებგვერდზე <https://gtu.ge/ids-en>.

დიზაინის საბაკალავრო პროგრამა

სასწავლო გეგმის მიხედვით, საბაკალავრო პროგრამის მიზნებია:

- მოამზადოს კონკურენტუნარიანი, პრაქტიკულ სამუშაოზე ორიენტირებული დიზაინერი, საერთაშორისო და ადგილობრივი მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით; დიზაინერი, რომელსაც ექნება: სამოქალაქო ცნობიერების მაღალი გრძნობა, შემოქმედებითი აქტივობა და სივრცითი აზროვნება; დიზაინის საფუძვლების, მისი არსის, განვითარების კანონზომიერებების, დიზაინის ძირითადი პრინციპებისა და მეთოდების, თანამედროვე ტექნოლოგიების, წესებისა და საკანონმდებლო მოთხოვნების ცოდნა;
- განუვითაროს სტუდენტს გადაწყვეტილების მიღების უნარები, დიზაინის სფეროში საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების უნარი, ინგლისურ ენაში პროფესიული კომუნიკაციის უნარები, სფეროსთან დაკავშირებული პრობლემების კრიტიკული ანალიზი და სათანადო დასკვნების გამოტანის უნარი; მოამზადოს სტუდენტები, რომელთაც ექნებათ ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები, რაც უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანობას დიზაინის მომსახურების ბაზარზე.

რაც შეეხება ცოდნის გამიზნულ დონეს, „დიზაინის საფუძვლები“, როგორც ჩანს, ცოტა დაბალ დონეზეა დაყენებული, პროგრამის 8 სემესტრიანი ხანგრძლივობის (240 ECTS

კრედიტი) და პროგრამის მიზნების უმეტესობის სხვა ელემენტების დონის გათვალისწინებით (მაგალითად. "სამოქალაქო ცნობიერების მაღალი გრძნობა"; „საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების უნარი“; კომპეტენციები, რომლებიც უზრუნველყოფენ კონკურენტუნარიანობას“.).

დიზაინის სამაგისტრო პროგრამა

სასწავლო გეგმის თანახმად, სამაგისტრო პროგრამის მიზნებია:

- მოამზადოს დიზაინის სფეროს ღრმა, სისტემური ცოდნის მქონე სპეციალისტი, კრიტიკული აზროვნებითა და პროფესიული უნარებით, შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი დიზაინერი, რომელიც ორიენტირებულია კრეატიული იდეების განვითარებასა და ეფექტური გადაწყვეტილების მიღებაზე და რომელსაც ექნება მყარი საფუძველი ინოვაციური და ორიგინალური იდეების განვითარებისთვის.
- კურსდამთავრებულს უნდა განუვითარდეს უცნობ, მულტიდისციპლინურ გარემოში რთული პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების მოძიების უნარი და/ან დამოუკიდებლად განახორციელოს კვლევა, კრიტიკული ანალიზი, საკუთარი დასკვნების არგუმენტები და შეძლოს კვლევის შედეგების პრეზენტაცია ეთიკური სტანდარტების დაცვით.

აღწერილი მულტიდისციპლინური გარემოს გათვალისწინებით, მიზანშეწონილია შემდგომი დაფიქრება დისციპლინური და ინტერდისციპლინური კომპეტენციების იმ ნაზავზე, რომელიც სტუდენტებმა უნდა შეიძინონ. ინტერდისციპლინურობა, ჯერჯერობით, მხოლოდ ირიბად განიხილება, როგორც წინაპირობა გონივრული აზროვნებისთვის. ჩვენ გვსურს წავახალისოთ სტუ, ჩაერთოს საერთაშორისო დისკურსში ინტერდისციპლინურობისა და ტრანსდისციპლინურობის შესახებ, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული საზოგადოების საჭიროებების გაგებასთან და ახალ მდგრად გადაწყვეტილებებზე და უფრო ფართო პერსპექტივაზე მუშაობასთან; და გამოიტანოს საკუთარი დასკვნები, თუ როგორ დანერგოს და გააძლიეროს მიდგომები ამ კუთხით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისია, ხედვა და ღირებულებები;
- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა 2018-2024 წწ.
- ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა "დიზაინი";
- ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა "დიზაინი";
- დიზაინის საერთაშორისო სკოლის ვებგვერდი <https://gtu.ge/ids-en/>;
- შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზი;
- დარგის სპეციალისტების (ექსპერტების) კომენტარები პროგრამაზე;
- დიზაინის საერთაშორისო სკოლის რეგულაციები <https://gtu.ge/ids-en/pdf/ids-en-Regulation.pdf>.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული.

კლასტერის საერთო რჩევები: მიუხედავად გამოწვევებისა, გადადგომით შემდგომი გაბედული ნაბიჯები ეკონომიკური საჭიროებებისა და საზოგადოების პასუხისმგებლობის დასაბალანსებლად, იმის შესაბამისად, რაც უკვე გამოხატულია სტუ-ს მისიაში, სტრატეგიასა და საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებში;

იმსჯელეთ სტუ-სა და დიზაინის საერთაშორისო სკოლის შესაძლებლობებზე, დაიწყონ დისკურსი უნივერსიტეტსა და საზოგადოებას შორის, რათა გამოავლინონ მდგრადი განვითარების ხელშემწყობი ინოვაციური პოტენციალი რეგიონულ და ეროვნულ დონეზე, ნაცვლად მხოლოდ ევროპის მრავალ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების რეპროდუცირებისა.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

დიზაინის საბაკალავრო პროგრამა

რეკომენდაციები: არ არის მითითებული.

რჩევები: დარწმუნდით, რომ პროგრამის მიზნების ყველა ნაწილი ეხება ამბიციების ერთსა და იმავე დონეს, განსაკუთრებით „დიზაინის საფუძვლების“ ნაწილში.

დიზაინის სამაგისტრო პროგრამა

რეკომენდაციები: არ არის მითითებული.

რჩევები: მოახდინეთ ინტერდისციპლინური (და ტრანსდისციპლინური) მიდგომების, როგორც გლობალური გამოწვევების დამლევისა და მდგრადი განვითარების საშუალების, ინტეგრირება პროგრამის მიზნებში.

შეფასება³

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები				
დიზაინის საბაკალავრო პროგრამა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
დიზაინის სამაგისტრო პროგრამა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

³შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
 - პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.
-

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის მიზნებისგან განსხვავებით, ერთი მხრივ მომხმარებელთა და ბაზრის მოთხოვნებზე პასუხის გაცემასა და, მეორე მხრივ, დიდი საზოგადოებრივი გამოწვევების წინაშე, ეთიკურად პასუხისმგებლობით მოქმედებას შორის ბალანსის მიღწევის მკაფიო გააზრება ჯერ ბოლომდე არ არის მიღწეული პროგრამის სწავლის შედეგების დონემდე (იხილეთ დეტალური აღწერა ქვემოთ).

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები აღწერს სტუდენტების ცოდნას, უნარებსა და დამოკიდებულებებს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების დასრულების შემდეგ. ზემოაღნიშნული გამოწვევის გარდა, სწავლის შედეგები სრულად შეესაბამება კლასტერში შემავალი პროგრამების მიზნებს. ისინი შეესაბამება კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს შესაბამისი დონის კვალიფიკაციის აღწერის მოთხოვნებს, სწავლის სფეროს აღმწერის დეტალური სფეროს შინაარსს (0212-მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული/სამრეწველო დიზაინი), ასევე „დიზაინის, სამრეწველო დიზაინის, მოდის დიზაინისა და ტექსტილის დიზაინის“ დარგობრივ მახასიათებლებსა და ეფუძნება დარგის განვითარებად ტენდენციებსა და საერთაშორისო პრაქტიკებს. ასევე, სწავლის შედეგები აგებულია დიზაინის საერთაშორისო სკოლის მიერ დაგროვილ გამოცდილებაზე და კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების კონტექსტში.

პროგრამები სტუდენტებს მისცემს პროფესიისთვის აუცილებელ ცოდნასა და უნარებს, რაც ხელს შეუწყობს წარმატებული კარიერის შექმნას. პროგრამაში სწავლის შედეგები/კომპეტენციები (ზოგადი და დარგობრივი) მკაფიოდ და ლოგიკურად არის ჩამოყალიბებული. საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია, დარგის სპეციფიკის ითვალისწინებს და იძლევა სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელების შესაძლებლობას.

დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებით აშკარად გამოიკვეთა მათი ჩართულობა სწავლის შედეგების განსაზღვრაში, მათ გამოცდილებაზე დაფუძნებული რეკომენდაციებისა და რჩევების მიცემით. მათი აზრით, პროგრამებში განხორციელებულმა ცვლილებებმა ისინი უფრო ეფექტური და აქტუალური გახადა. მომხმარებლებთან და კლიენტებთან აქტიური ურთიერთობის მნიშვნელობის გაცნობიერება კლასტერში დაჯგუფებული ორივე პროგრამისთვის განსაკუთრებით თვალსაჩინო აქტივია, რაც ადასტურებს სტუ-ს კავშირს მის გარემოსთან.

აღსანიშნავია, რომ ორივე პროგრამა არის მიმდინარე პროგრამების განახლებული და შეცვლილი ვერსია. სტრუქტურული ცვლილებების ყოვლისმომცველი აღწერა მოცემულია თვითშეფასების ანგარიშში, სადაც სტუდიური კურსების დანერგვა ასევე მთავარ ელემენტად არის დასახელებული. გასაუბრების დროს, შევძელით იმის გადამოწმება, რომ ცვლილებების მიუხედავად, სტუდენტებს აქვთ საკმარისი შესაძლებლობა გადავიდნენ განახლებულ პროგრამებზე და მიიღონ სწავლის შედეგები უკვე მიღებული კრედიტების დაკარგვის გარეშე: ფიქსირდება სავალდებულო კურსების საკმარისი გადაკვეთა და ასევე სტუდენტებს აქვთ 30 კრედიტის მოცულობის თავისუფალი არჩევითი კურსების დიაპაზონი. თუკი ამის მიუხედავად პრობლემები წარმოიქმნება, დაწესებულება მზად არის რომ ასეთი სტუდენტებისთვის შექმნას შესაძლებლობები, რათა მათ მოიპოვონ აუცილებელი, დამატებითი კრედიტები, დამატებითი ხარჯების გარეშე.

დიზაინის საბაკალავრო პროგრამა

საბაკალავრო პროგრამისთვის მომხმარებელთა და ბაზრის მოთხოვნები ზედმიწევნით გათვალისწინებულია და მათზე რეაგირება ხდება შესაბამისი სწავლის შედეგებით. სოციალური პასუხისმგებლობის საკითხი მხოლოდ N8 სწავლის შედეგის ნაწილია- „პროფესიული ეთიკის მოთხოვნების დაცვის“ სახით. სწავლის შედეგი N#2 ეხება „საზოგადოებრივ საჭიროებებს“ – მაგრამ ისეთ კონტექსტში, რომელიც, როგორც ჩანს, მიუთითებს უფრო სამომხმარებლო განცდაზე, ვიდრე საზოგადოების ჰოლისტური და პასუხისმგებლობით მართული მომავალი განვითარების აუცილებლობაზე.

პროგრამის მიზნების სრულად შესასრულებლად, რეკომენდებულია ისეთი სწავლის შედეგების იდენტიფიცირება, რომლებიც შესაფერისია კურსდამთავრებულებისთვის სწორი დამოკიდებულებისა და შესაბამისი კომპეტენციების გასავითარებლად, მდგრადი განვითარების საკითხების აქტიურად მოსაგვარებლად.

დიზაინის სამაგისტრო პროგრამა

ანალოგიური სიტუაციაა სამაგისტრო პროგრამაზე; ჩვენ კვლავ ვპოულობთ მხოლოდ „პროფესიულ ეთიკაზე“ მითითებას (N. 8), მაშინ როცა ბაზრისა და მომხმარებლებთან ურთიერთობის საკითხები კარგად არის შესწავლილი.

სწავლის შედეგ N6-ს აქვს აშკარა შესაძლებლობა, რომ გამონახოს „ოპტიმალური თანაფარდობა“ ეკონომიკურ საჭიროებებსა და საზოგადოებრივ პასუხისმგებლობას შორის.

იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული საკითხების შესახებ პროგრამაში უკვე შეტანილია შესაბამისი ტრენინგ-კურსები, რეკომენდებულია ადაპტაციები უფრო მეტად ეხება თავად პროგრამის სწავლის შედეგების ტექნიკურ დონეს და არა იმდენად რეალურ სწავლებისა და სწავლის სიტუაციას.

კლასტერული თვითშეფასების ანგარიშის 1.2 თავში, როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ვერსიებში არის ტექნიკური შეცდომა: მე-7 საფეხურის ნაცვლად მაგისტრატურისთვის მე-6 დონეა მითითებული, ხოლო ნაცვლად 120 ECTS კრედიტისა - 240.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დიზაინის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- დიზაინის ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- დიზაინის, სამრეწველო დიზაინის, მოდის დიზაინის, ტექსტილის დიზაინის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის საგნის მახასიათებლები.
- შრომის ბაზრის კვლევა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- პროგრამის ხელმძღვანელთან, დიზაინის საერთაშორისო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

დიზაინის საბაკალავრო პროგრამა

რეკომენდაციები:

- **რჩევები:** პროგრამის მიზნების სრული შესაბამისობისთვის, შეცვალეთ პროგრამის სწავლის შედეგები დიზაინერების ცნობიერების ამაღლების გათვალისწინებით და საჭირო კომპეტენციების გადაცემით, რათა მზად იყვნენ „ადამიანის მიერ წარმოქმნილ და ბუნებრივ გარემოში გაჩენილი სულ უფრო აქტუალური კითხვებისთვის“, როგორც ისინი სამაგალითოდ არის განხილული თვითშეფასების ანგარიშში;

დიზაინის სამაგისტრო პროგრამა

რეკომენდაციები: არ არის მითითებული.

რჩევები: პროგრამის მიზნებთან კიდევ უფრო უკეთესი შესაბამისობის მისაღწევად, გააფართოვეთ პროგრამის სწავლის შედეგები, ცნობიერების ამაღლებითა და ყველა იმ საჭირო კომპეტენციების დამატებით, რომელიც საჭიროა „ადამიანის მიერ ხელოვნურად შექმნილ და ბუნებრივ გარემოში არსებულ მზარდად მწვავე საკითხებისთვის“, როგორც ეს სამაგალითოდ არის განხილული თვითშეფასების ანგარიშში და ასევე ნაჩვენებია არაერთი კურსის სილაბუსში.

შეფასება

კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
---	------------------------------	---------------------------------------	---	---------------------------

დიზაინის საბაკალავრო პროგრამა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
დიზაინის სამაგისტრო პროგრამა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი განსაზღვრულია. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი შედგება სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრისგან, შეგროვებისა და ანალიზისგან.

➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი შემუშავდა დიზაინის ორივე პროგრამის ფარგლებში „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესების“ საფუძველზე, რომელიც დამტკიცებულია სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 სექტემბრის №01-05-04/261 დადგენილებით.

სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, დარგის შესაბამისი პერიოდულობით. პროგრამებში წარმოდგენილია მიზნებისა და სწავლის შედეგების თავსებადობის რუკა. პროგრამის სასწავლო გეგმის რუკა გვიჩვენებს კურსის სწავლის შედეგ(ებ)ის შესაბამისობას პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)თან და აჩვენებს, თუ რა დონეზე მუშავდება/მიიღწევა პროგრამის სწავლის შედეგი (შესავალი, გაღრმავება, დაუფლება). სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და პერიოდულობა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადექვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რაც საშუალებას იძლევა, განისაზღვროს სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა.

მექანიზმის გამოყენება და შეფასების განხორციელება, სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზი (სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი მეთოდი) და სწავლის შედეგების შეფასების შედეგები ექვემდებარება მონიტორინგს და ხდება მათი შედარება სამიზნე ნიშნულებთან. პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის დადგენილია სამიზნე ნიშნული, რომელიც ასახავს მოლოდინს, რომ სტუდენტი მიაღწევს სწავლის შედეგს. თითოეული სწავლის შედეგი გამოხატავს კონკრეტულ უნარს და ცოდნას, რომელიც სტუდენტმა უნდა შეიძინოს პროგრამის ბოლოს. აღნიშნული ცოდნისა და უნარების შეძენა და განვითარება ხორციელდება კონკრეტული აკადემიური კურსების კომბინაციით. იმისათვის, რომ სწავლის შედეგები გაზომვადი იყოს, გამოიყენება შესრულების ინდიკატორები (PI), რომლებშიც ფორმულირებულია კონკრეტული უნარი ან ცოდნა, რომლის დემონსტრირება ნათლად აჩვენებს, რომ სტუდენტებმა მიაღწიეს სწავლის კონკრეტულ შედეგს. თითოეული სწავლის შედეგისთვის დადგენილია შესრულების

რამდენიმე ინდიკატორი (PI), რომელიც შეიძლება შეფასდეს აკადემიური კურსებით. ეფექტურობის ინდიკატორების შესაფასებლად შეიძლება გამოყენებულ იქნას პირდაპირი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი, მათ შორის: აკადემიური კურსის დასკვნითი ან შუალედური გამოცდა, ტესტი, საშინაო დავალება და ა.შ. პირველ ეტაპზე პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის დგინდება შესრულების რამდენიმე ინდიკატორი. შემდეგ ეტაპზე ხდება ინდიკატორების იმ აკადემიურ კურსებთან დაკავშირება, რომელთა სწავლის შედეგებიც უზრუნველყოფს ამ კონკრეტული უნარ-ჩვევის ან ცოდნის შექმნას.

შესაბამისად, ეს მიდგომა საშუალებას იძლევა გავზომოთ და შევაფასოთ რამდენად წარმატებით შეძლეს სტუდენტებმა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა. მონაცემთა შეგროვება ხდება სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ (შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებში). ასევე, განისაზღვრება თითოეული სამიზნე ნიშნულიდან ნებადართული გადახრის პროცენტი - 20%, დადგენილია ის ზომები, რომლებიც უნდა იქნას მიღებული სამიზნე ნიშნულების მიუღწევლობის შემთხვევაში.

სტუ იყენებს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირ მეთოდებს, რაც გულისხმობს სტუდენტის თვითშეფასებას და შეფასებას კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მიერ. შემუშავებულია გამოკითხვის ფორმა, რომლის მეშვეობითაც კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები აფასებენ პროგრამის ფარგლებში მიღწეულ სწავლის შედეგებს. უნივერსიტეტი ახორციელებს კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა ყოველწლიური ონლაინ გამოკითხვის მექანიზმს. პროგრამის შედეგების შესაბამისობა დადგენილ სამიზნე ნიშნულებთან განისაზღვრება ამ კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე.

პროგრამის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს; თუმცა, ზოგიერთ მათგანს არ გააჩნია საკმარისი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. სასურველია, რომ პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა მიიღოს მხარდაჭერა და ხშირი ტრენინგები სწავლის შედეგების შემუშავების, გაზომვისა და ანალიზის უნარ-ჩვევების გასავითარებლად.

სტუ დაინტერესებულ პირებს აწვდის ინფორმაციას პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზის შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „დიზაინი“;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- მიზნებისა და სწავლის შედეგების თავსებადობის რუკა;
- პროგრამის კურიკულუმის რუკა
- დოკუმენტი სწავლის შედეგების შეფასებისა და განვითარების შესახებ;

- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხი უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან და სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული.

კლასტერის საერთო რჩევები: დარწმუნდით, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი იღებს სათანადო მხარდაჭერას და ტრენინგებს, რათა განვიტაროს უნარები დიზაინსა და სწავლის შედეგების გაზომვასა და გაანალიზებაში.

შეფასება

კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
დიზაინის პროგრამა	საბაკალავრო <input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
დიზაინის პროგრამა	სამაგისტრო <input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

➤ პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

➤ პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული „დიზაინის“ საგანმანათლებლო პროგრამები შედგენილია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესების შესაბამისად, რაც დასტურდება პროგრამულ პაკეტზე თანდართული დოკუმენტაციით.

პროგრამები აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლების სფეროების კლასიფიკაციის დამტკიცების შესახებ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის ბრძანება N69/ნ-ის სრული გათვალისწინებით და ECTS სისტემის შესაბამისად. 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელიც მოიცავს საკონტაქტო და დამოუკიდებელ სამუშაო საათებს. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია პროგრამის კურიკულუმში. სასწავლო წელი შედგება 2 სემესტრისაგან და მოიცავს 30 სასწავლო კვირას. ყოველი სემესტრი შედგება 15 სასწავლო კვირისგან, ამას ემატება შუალედური და დასკვნითი

გამოცდებისთვის გათვალისწინებული კვირები. სასწავლო გეგმაში კრედიტების სემესტრული რაოდენობა შეადგენს 30 კრედიტს. სასწავლო გეგმაში კურსების განაწილება, თანმიმდევრობა და წინაპირობები შეესაბამება კურსის სილაბუსებში გაწერილი კრედიტების განაწილებას.

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „დიზაინის“ სტრუქტურის, შინაარსის, სამიზნე ნიშნულებისა და შესრულების მაჩვენებლების ანალიზის შედეგად, ასევე პროგრამის ხელმძღვანელთან, განმახორციელებელ პერსონალთან და დამსაქმებლებთან გასაუბრების შედეგად ცხადი გახდა, რომ შინაარსი, პროგრამის დიაპაზონი და სტრუქტურა შეესაბამება განათლების დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. ისინი უზრუნველყოფენ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაში შემავალი საგანმანათლებლო კომპონენტების თანმიმდევრობა ლოგიკურად არის მოწყობილი.

წარმოდგენილი თვითშეფასების დოკუმენტიდან და სხვადასხვა გასაუბრების შედეგებზე დაყრდნობით, ჩვენ შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ პროგრამის შემუშავების პროცესი მართლაც განხორციელდა სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობით, რომლებიც აქტიურად გამოხატავდნენ მხარდაჭერას განხორციელებულ ცვლილებებისადმი.

ექსპერტები განსაკუთრებით აფასებენ სტუდიური კურსების დანერგვას, როგორც ორივე სასწავლო პროგრამის ძირითად ნაწილს, რადგან მათ ენიჭებათ ECTS კრედიტების მნიშვნელოვანი და კარგად დასაბუთებული რაოდენობა. ეს კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტებს განავითარონ დიზაინის ინდივიდუალური პრაქტიკა, გააერთიანონ სხვა კურსებიდან მიღებული კომპეტენციები და გააერთიანონ ისინი სანიმუშო პროექტში, კომპეტენტური ზედამხედველობის ქვეშ.

გარდა ამისა, დაწესებულება ძალიან მოქნილი ჩანს ინდივიდუალური მოთხოვნების განხილვასთან დაკავშირებით. მაგალითად, ერთმა კურსდამთავრებულმა აღნიშნა, რომ მას მხარი დაუჭირეს, რომ სამაგისტრო ნაშრომი გაეკეთებინა სამოსის დიზაინზე და არა ინტერიერის ან სამრეწველო დიზაინზე. ექსპერტები არა მხოლოდ აფასებენ ამ მოქნილობას ტექნოლოგიური შესაძლებლობების ინდივიდუალურად გაფართოებაში, ისინი ასევე მოუწოდებენ დიზაინის საერთაშორისო სკოლას კიდევ უფრო გააძლიეროს თავისი პრაქტიკული მუშაობის სფეროები, იქნება ეს წარმოების დამატებითი საშუალებების დამატება, თუ იქნება ეს დიზაინის სხვა შესაბამის სფეროებთან კავშირების შექმნა - არამხოლოდ ინდივიდუალური შემთხვევებისთვის, არამედ სტრუქტურულ საფუძველზე.

გამომდინარე იქიდან, რომ კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები განახლებულია და წარმოადგენს ამჟამინდელი პროგრამების ხელახლა ჩამოყალიბებულ ვერსიას და მათ სტრუქტურაში შეტანილია სერიოზული ცვლილებები, მიზანშეწონილია პროგრამულ პაკეტს დაერთოს სტრუქტურული ცვლილებების აღწერის დოკუმენტი, რომელშიც ნათლად იქნება წარმოჩენილი ცვლილებების მასშტაბი და რომელიც მკაფიო ინფორმაციას

მიაწვდის სტუდენტებს აღიარებული და განსხვავებული კრედიტების შესახებ, ახალ პროგრამაზე მობილობით გადასვლის პროცესში.

დიზაინის საბაკალავრო პროგრამა

თანაფარდობა საკონტაქტო საათებსა და კრედიტებს შორის მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვადასხვა სასწავლო კურსზე. მიუხედავად იმისა, რომ კრედიტებისთვის საკონტაქტო საათების მინიჭების ერთიანი პრინციპი გაამარტივებდა პროგრამის ადმინისტრირებას, დაწესებულებამ სხვა მიდგომა აირჩია. ზოგიერთი მაგალითი სასწავლო კურსებიდან: „ხელოვნება სფეროში“ - 5 კრედიტი=45 საათი; "ხატვა დიზაინისთვის" - 5 კრედიტი =105 საათი; „სწრაფი ვიზუალიზაცია“ 4 კრედიტი=90 საათი და ა.შ.). პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებისას, განგვიმარტეს რომ გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების) შეესაბამება კურსების შინაარსს და სწავლის შედეგებს. საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და გათვალისწინებულია კურსის სპეციფიკა. მიუხედავად იმისა, რომ საკონტაქტო საათების განსხვავებული რაოდენობა პროგრამის ადმინისტრირებას ნაკლებად მოქნილს ხდის, დაწესებულებამ გამოთქვა სურვილი და შესაძლებლობა, რაციონალურად მართოს სასწავლო პროცესი პროგრამის ღირებულების მნიშვნელოვნად გაზრდის გარეშე.

პროგრამის სტრუქტურის კიდევ ერთი განსაკუთრებული ასპექტია ეგრეთ წოდებული „საგანგებო“ (crash) - კურსები, რომლებიც ეხმარება სტუდენტებს მოემზადონ სპეციალიზაციისთვის. სტუდია დაყოფილია 3 ნაწილად (ინტერიერის დიზაინი, პროდუქტის დიზაინი და ვიზუალური კომუნიკაცია), თითოეული 5 კვირიანი სასწავლო პერიოდით. „საგანგებო“ კურსის ყოველი ეტაპის შედეგად სტუდენტები ქმნიან დიზაინის პროექტს და ფინალურ გამოცდაზე სამივე ნამუშევარს პორტფოლიოს სახით წარმოადგენენ. ეს კურსი საშუალებას აძლევს სტუდენტებს, ყურადღება გაამახვილონ მათთვის საინტერესო არჩევით კურსებზე, მომდევნო სასწავლო წლებში.

მნიშვნელოვანია, რომ პროგრამაში პრაქტიკის კომპონენტის კრედიტები გაიზარდა სტუდენტების მოთხოვნით, რაც დადასტურდა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას. დამსაქმებლების რჩევებით კი განახლებული პროგრამა მოიცავს კომპიუტერულ-გრაფიკულ პროგრამებს, რაც გასაუბრებაზეც დადასტურდა.

პროგრამის სტრუქტურა აგებულია ლოგიკურად და საინტერესოდ არის დანერგილი სივრცითი დიზაინის უნარების განვითარების თანამედროვე მეთოდებზე დაფუძნებული სასწავლო კურსები. რამდენადაც გამოცდილება მოწმობს, რომ სწავლების პროცესში თანამედროვე მეთოდების შესწავლამდე ეფექტურია ტრადიციული მეთოდების მცირე მიმოხილვა, სტუდენტები უნდა გაეცნონ საინჟინრო გრაფიკის ტრადიციულ მეთოდებს, რათა უფრო ეფექტურად გააანალიზონ და გამოიყენონ თანამედროვე ციფრული

შესაძლებლობები. ამიტომ მიზანშეწონილი იქნება საინჟინრო გრაფიკის ელემენტების შესწავლის კურსის დამატება (მინიმუმ 2-3 კრედიტი) (ხაზოვანი ნახატი ხაზოვანი გეომეტრიის ელემენტებით). პროგრამის პერსონალთან გასაუბრების დროს ითქვა, რომ ხატვის ელემენტები ისწავლება რიგ საგანში, მაგრამ სილაბუსების ჩვენმა ანალიზმა ეს მტკიცება არ დაადასტურა.

პროგრამა საინტერესოა და კიდევ უფრო იწვევს ინტერესს, რასაც ადასტურებს დოკუმენტი „ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების შესახებ“ (დანართი 1). ვინაიდან სტუ-ში საგანმანათლებლო პროგრამების მთელი რიგი შემუშავებულია 180+60 კრედიტის პრინციპზე, აქედან 60 კრედიტი ეთმობა დამატებით (minor) პროგრამას ან არჩევით ბლოკს/სასწავლო კურსებს, მიზანშეწონილია პროგრამის მენეჯერებმა იფიქრონ მიმდინარე ძირითადი პროგრამის საფუძველზე დამატებითი (minor) პროგრამის შემუშავებაზე, რომელსაც შესთავაზებენ სხვა საბაკალავრო პროგრამების სტუდენტებს.

დიზაინის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო პროგრამა ხელმისაწვდომია ბაკალავრის ხარისხის მქონე ყველა პირისთვის, მას შემდეგ, რაც ისინი ჩააბარებენ სპეციალურ მისაღები გამოცდას. პროგრამის ასეთი ფართო ხელმისაწვდომობა აშკარა გამოწვევებთან არის დაკავშირებული, რადგან ვერ იქნება მოლოდინი რომ სტუდენტები კომპეტენციის თანაბარ დონეზე იქნებიან ყველა დარგში. თუმცა, გასაუბრებისას აღმოჩნდა, რომ სხვა დისციპლინებიდან მოსული სტუდენტები მთლიანი ჯგუფისთვის მნიშვნელოვანი დანამატი აღმოჩნდნენ.

ექსპერტები აფასებენ ამ ვითარებას და თვლიან, რომ სტუ-ს შეუძლია ამ კუთხით მეტი გააკეთოს, რათა სტუდენტთა სხვადასხვა (სხვა საბაკალავრო პროგრამაზე შეძენილი) კომპეტენციები კიდევ უფრო უკეთ იყოს ინტეგრირებული სწავლების ყოველდღიურ პრაქტიკაში. მაგალითად, დამსაქმებლებმა გასაუბრებაზე ისაუბრეს სამართლებრივი კომპეტენციების საჭიროებაზე და ამავდროულად, პროგრამაზე არის სამართლის ბაკალავრის ხარისხის მქონე სტუდენტი. შესაძლოა მომგებიანი იყოს სტუდენტთა ჯგუფის აქტიური ჩართვა მსგავს დისკუსიებში, რაც მათ დაეხმარება კიდევ უფრო უკეთ გააცნობიერონ მათ ჯგუფში არსებული შესაძლებლობების პოტენციალი.

სამაგისტრო პროგრამის 30 ECTS კრედიტი ენიჭება პროგრამის კვლევით კომპონენტს. სამაგისტრო ნაშრომის დასრულების შემდეგ სტუდენტები ასევე იცავენ მას კომიტეტის წინაშე. ნაშრომი მოიცავს კვლევით მუშაობას, რომელიც მიზნად ისახავს მაგისტრანტის დამოუკიდებელი თეორიული და პრაქტიკული მსჯელობისა და დასკვნების გაკეთების უნარის განვითარებას. სამაგისტრო ნაშრომი უნდა იყოს დამოუკიდებელი კვლევითი მუშაობის შედეგი. დასრულებული საკვალიფიკაციო სამუშაოს წარდგენა, საჯარო დაცვა და შეფასება ფასდება ერთხელ, 100-ქულიანი სისტემით. შეფასების წესი და პროცედურები განისაზღვრება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2012 წლის 26 ივნისს No704

დადგენილებით დამტკიცებული „სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესით“.

სამაგისტრო ნაშრომის დასრულებისას აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის საკითხი რეგულირდება სტუ-ს სამართლებრივი აქტებით, მათ შორის, „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შესრულებული ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების პროცედურით“.

სტუ-ს დებულების შესაბამისად, სამაგისტრო ნაშრომი შედგენილია როგორც სამეცნიერო წერილობითი ნაშრომი, თუმცა არ არის მკაფიო კავშირი კურსდამთავრებულთა პრაქტიკულ მუშაობასთან. სტუდიური კურსების, როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო პროგრამის ძირითადი სტრუქტურული ინტეგრაციული ელემენტის დამკვიდრების შემდეგ, სამაგისტრო ნაშრომის მოთხოვნების გადახედვა ლოგიკური თანმიმდევრული ნაბიჯი იქნება. საერთაშორისო დონეზე, პრაქტიკული კომპონენტების (მაგ. პროტოტიპი) და თეორიული დასაბუთების და ასახვის კომბინაციით შესრულებული სამაგისტრო კვლევითი სამუშაო არა მხოლოდ ფართოდ მიღებული, არამედ ძალიან გავრცელებული გზაა დიზაინის სამაგისტრო პროგრამის დასასრულებლად. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ვიზიტისას უკვე აღმოვაჩინეთ მსგავსი პრაქტიკის ელემენტები, რეგულაციები მაინც მხოლოდ სამეცნიერო ნაწილზეა ორიენტირებული.

გარდა ამისა, ექსპერტები გირჩევენ გაიზარდოს სიცხადე იმის შესახებ, თუ როგორ უნდა აიგოს სამაგისტრო პროექტი, დასმული საკვლევო კითხვების, ადეკვატური მეთოდების, დაგეგმილი და განხორციელებული სამუშაო პროცესის, დასკვნების გამოტანისა და ბოლოს შესრულებული სამუშაოს კრიტიკული ასახვის თვალსაზრისით.

ადეკვატური იქნება სტუდენტების უკეთ მომზადება სწავლის ამ ბოლო ფაზისთვის; კერძოდ სასურველია, შესთავაზოთ შესავალი კურსი სამაგისტრო ნაშრომის შექმნასა და კვლევით ჩარჩოში, ეს იქნება არამხოლოდ იმის საშუალება რომ სტუდენტები აღჭურვოთ საჭირო უნარებით, არამედ ეს პასუხისმგებელი ხელმძღვანელებისთვისაც იქნება ორიენტირი, რომ მეტად გაცვალონ აზრები და ჩამოაყალიბონ საერთო გაგება.

და ბოლოს, ექსპერტები აფასებენ, რომ სტუდენტთა მოთხოვნის საფუძველზე გაიზარდა პრაქტიკული კომპონენტის კრედიტების რაოდენობა. დამსაქმებლების (სტაჟირების ობიექტების წარმომადგენლების) რჩევების საფუძველზე, განახლებული პროგრამა მოიცავს სივრცითი დიზაინის პროგრამების უფრო მეტ წილს, რაც დადასტურდა ინტერვიუების დროსაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამების კურიკულუმი
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ; რაოდენობრივი მონაცემები;

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 26 ივნისის №704 დადგენილება: „სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი“;
- „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შესრულებულ სამუშაოებში პლაგიატის შემოწმების პროცედურა“;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული.

კლასტერის საერთო რჩევები: შექმენით დოკუმენტი, რომელიც პროგრამის წინა ვერსიის სტუდენტებისთვის აღწერს სტრუქტურულ ცვლილებებს, სადაც გამოვლენილი იქნება ცვლილებების მასშტაბი და მიწოდებული იქნება ინფორმაცია ახალ პროგრამაზე სტუდენტთა მობილობის წესით გადასვლისას აღიარებული და განსხვავებული კრედიტების შესახებ.

გააფართოვეთ პრაქტიკული/ტექნოლოგიური მუშაობის შესაძლებლობების სფერო, იქნება ეს წარმოების დამატებითი საშუალებები, თუ სტუ-ს შიგნით სხვა შესაბამის სფეროებთან კავშირების შექმნა (მაგ. მოდის/ტექსტილის დიზაინი.)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

დიზაინის საბაკალავრო პროგრამა

რეკომენდაციები: არ არის მითითებული.

რჩევები: დაამატეთ სასწავლო კურსი (მინიმალური შესაძლო კრედიტებით), რომელიც მოიცავს საინჟინრო გრაფიკის ელემენტებს.

შეიმუშავეთ დამატებითი (Minor) პროგრამა მიმდინარე ძირითადი პროგრამის საფუძველზე და შესთავაზეთ იგი სხვა საბაკალავრო პროგრამების სტუდენტებს.

დიზაინის სამაგისტრო პროგრამა

რეკომენდაციები: არ არის მითითებული.

რჩევები: პროგრამის სწავლის შედეგებისა და კურსის სტრუქტურის შესაბამისად გადამუშავდეს სამაგისტრო ნაშრომის განმარტება, რომელიც მოიცავს თეორიული ნაწილის თანაბარ პრაქტიკულ ნაწილსაც.

დანერგეთ შესავალი სასწავლო კურსი, რომელიც სტუდენტებს მისცემს იმ აუცილებელ ცოდნასა და უნარებს, რაც მათ დაეხმარება ავტონომიურად დაგეგმონ და შეასრულონ სამაგისტრო ნაშრომი.

გამონახეთ გზები, რომ მოახდინოთ სხვა დისციპლინების საბაკალავრო პროგრამების კურსდამთავრებულთა კომპეტენციების აშკარად ინტეგრირება, რაც ღირებული პოტენციალი იქნება სტუდენტთა მთელი ჯგუფისთვის.

შეფასება

კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
დიზაინის საბაკალავრო პროგრამა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
დიზაინის სამაგისტრო პროგრამა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ორივე საგანმანათლებლო პროგრამა შედგება კურსებისაგან, რომელთა შინაარსიც შეესაბამება სწავლის ძირითად სფეროს და პროგრამის სწავლის შედეგებს, საბაკალავრო პროგრამაში არსებული მცირე გამოწვევებით, რომელსაც ქვემოთ ვახსენებთ. სილაბუსები ყოვლისმომცველია და ეხება სწავლების, სწავლისა და შეფასების ყველა აუცილებელ ასპექტს. ECTS კრედიტების განაწილება და საკონტაქტო საათები, ასევე სტუდენტების შეფასების მეთოდები ლოგიკური და ადეკვატური ჩანს.

რაც შეეხება სწავლის შედეგებისა და კურსების რუკაზე ნაჩვენები პროგრამის სწავლის შედეგებთან კავშირს, ამ აქტივობის სიზუსტე შეიძლება კიდევ უფრო გაიზარდოს, განსაკუთრებით საბაკალავრო პროგრამისთვის. არც სარწმუნოა და არც აუცილებელი, რომ კურსების უმეტესობამ ხელი შეუწყოს ამდენ განსხვავებულ სწავლის შედეგს.

დიზაინის საბაკალავრო პროგრამა

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის მთლიანი სტრუქტურა თავისი ინტეგრაციული სტუდიური სტრუქტურით სრულყოფილად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, არის კურსები, რომლებიც, სრულად თანმიმდევრულად არ გამომდინარეობს პროგრამის სწავლის შედეგებიდან. განსაკუთრებით წრფივი ალგებრისა და კალკულუსის შემთხვევაში, გაურკვეველი რჩება, რატომ არის საჭირო ასეთი რაოდენობის მათემატიკური სწავლება და როგორ უწყობს ეს კურსი ხელს სწავლის შედეგებს N3 და N4-ს. არ ვგულისხმობთ რომ საჭიროა ზოგადად მათემატიკური და ლოგიკური აზროვნების აქტუალობის იგნორირებას, მაგრამ შესაძლოა უფრო მომგებიანი იყოს ამ სფეროში ალტერნატიული კურსის შემუშავება, რომელიც უფრო კონკრეტულად იქნება დაკავშირებული პროგრამის სწავლის შედეგებთან – შესაძლოა ასევე შეიცავდეს რამდენიმე სტატისტიკურ მეთოდსაც.

არის სხვა მაგალითებიც, სადაც ჩვენი რეკომენდაციაა რომ მხოლოდ კურსების რუკაზე ახსენოთ სწავლის შედეგები და ახსენოთ ის სწავლის შედეგები, რომლებიც ნამდვილად მიღწევადია ამ კურსით. ორი მაგალითი, სადაც კურსებსა და სწავლის შედეგებს შორის (სილაბუსების თანახმად) არის თანხვედრის დაბალი დონე:

- "შესავალი გრაფიკულ სტუდიაში" არ უწყობს ხელს სწავლის მეორე შედეგზე გასვლას (საზოგადოებრივი საჭიროებების, მომხმარებელთა ინტერესების იდენტიფიცირებას, ...)
- კურსები სხვადასხვა ტექნოლოგიებზე (მაგ. თავისუფალი ხელით ხატვა, გრაფიკული რედაქტორები, კომპიუტერული პროგრამირება, 3D ვიზუალიზაცია), არ უწყობს ხელს მესამე სწავლის შედეგზე გასვლას (უნარი განსაზღვროს რომელი ტექნოლოგიები აირჩიოს დიზაინის პროდუქტისთვის, მათი ესთეტიკური და ოპერაციული თვისებების გათვალისწინებით...)

დიზაინის სამაგისტრო პროგრამა

ასევე, სამაგისტრო პროგრამა საკმაოდ ამბიციურია იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად უწყობს ხელს ცალკეული კურსები სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა, კურსის სილაბუსების განხილვის შემდეგ, ჩვენთვის დამაჯერებელი აღმოჩნდა, რომ კონკრეტული კურსის წყობა ნამდვილად საშუალებას აძლევს სტუდენტებს მიიღონ აღნიშნული სწავლის შედეგები. ლექციების და სტუდენტების ავტონომიური მუშაობის გზები ადეკვატურია სამაგისტრო პროგრამის დონისთვის და სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას, გაიფართოვოს მსოფლმხედველობა და მოახდინოს უკვე ნასწავლი ცოდნის პრაქტიკაში ინტეგრირება. ეს განსაკუთრებით ეხება სტუდიურ კურსებს, მაგრამ არა მხოლოდ მათ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა "დიზაინი"
- კურსების სილაბუსები
- პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკა

- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები.
- თვითშეფასების ჯგუფთან გასაუბრება

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

დიზაინის საბაკალავრო პროგრამა

რეკომენდაციები: სერიოზულად გადაამოწმეთ კურსებისა და პროგრამების სწავლის შედეგების შესაბამისობის ცხრილი და წაშალეთ ზოგიერთი მითითება იქ, სადაც ისინი არ არის სრულად ადეკვატური შესაბამისი კურსისთვის.

რჩევები: არ არის მითითებული.

შეფასება

კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
დიზაინის საბაკალავრო პროგრამა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
დიზაინის სამაგისტრო პროგრამა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
დიზაინის საბაკალავრო პროგრამა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
დიზაინის სამაგისტრო პროგრამა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი

ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამებზე მიღების წინაპირობები რეგულირდება საქართველოს კანონით "უმაღლესი განათლების შესახებ", უნივერსიტეტის დებულებით და პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული წესებით. თვითშეფასების ანგარიშში, სტუ აღნიშნავს, რომ მიღების პროცედურების მიზანია „უზრუნველყოს პროგრამაში შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირების ჩართვა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად“. (თვითშეფასების ანგარიში გვ. 31)

პროგრამაზე მიღების წინაპირობები და პროცედურები ხელმისაწვდომია ფაკულტეტის ვებგვერდზე. ამჟამად, უნივერსიტეტის ვებგვერდის განახლებამ გამოიწვია გაურკვევლობა, თუმცა ჩვენ გვჯერა, რომ ეს მხოლოდ დროებითია.

დიზაინის საბაკალავრო პროგრამა

საბაკალავრო პროგრამაზე მსურველებს უნდა ჰქონდეთ დასრულებული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი. დამატებით, მათ მოეთხოვებათ

- სტუ-ს სპეციალურ კომისიასთან ინტერვიუს გავლა, სადაც მათ ვერბალურად უნდა დაადასტურონ მათი მოტივაცია, რომ სწავლა გააგრძელონ დიზაინის საბაკალავრო პროგრამაზე.
- წარმოადგენს თავის საკუთარ გრაფიკულ ნამუშევარს ((თავისუფალი და ტექნიკური ნახაზი)
- წარმოადგენს ინგლისური ენის B2 დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს.

ჩარიცხვა შესაძლებელია კანონით დადგენილი წესით ერთიანი ეროვნული გამოცდის ჩაბარების გარეშე.

ფოკუსირება ტექნიკურ ასპექტებზე საკმაოდ ვიწროა, თუმცა ეს უდაოდ რელევანტური საკითხია, რაც დადასტურდა ინტერვიუების დროსაც. მიუხედავად იმისა, რომ შემოქმედებით ტურსა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის თავსებადობა ბოლომდე მიღწეული არ არის, დაწესებულება სხვა ალტერნატივას ამ მომენტში ვერ ხედავს. ტექნიკური უნარები საჭიროებს შემოწმებას, და ამ კუთხით საშუალო განათლების არასაკმარისი დონეა, და დამატებითი გამოცდა გადატვირთავს პერსონალს. ექსპერტებს ესმით პრობლემური სიტუაცია, მაგრამ უსამართლოდ მიიჩნევენ ტექნოლოგიურ კომპეტენციაზე ფოკუსირებას შემოქმედებითი შესაძლებლობების უგულებელყოფის ფასად. შესაბამისად, ჩვენ მოვუწოდებთ სტუ-ს, რომ გამოასწოროს ეს სიტუაცია რაც შეიძლება მალე.

დიზაინის სამაგისტრო პროგრამა

პროგრამა ხელმისაწვდომია ბაკალავრის ხარისხის ყველა მფლობელისთვის, განურჩევლად დისციპლინისა, თუ მათ შეუძლიათ დამაჯერებლად წარმოადგინონ თავიანთი მოტივაცია სპეციალურ კომისიასთან და ასევე, წარმოადგინონ გრაფიკული ნამუშევრები (ნახატები / ნახატები / კომპიუტერული დიზაინი) სათანადო ხარისხით.

ინტერვიუების პირველი რაუნდის შემდეგ, აპლიკანტებს მოეთხოვებათ სპეციალური გამოცდის ჩაბარება, დიზაინის ნამუშევრის შექმნა ავტორიზებული პროგრამული უზრუნველყოფით ((Autodesk, Graphisoft, Adobe) საგამოცდო კომისიის წინაშე

მიუხედავად იმისა, რომ გამოცდის ფორმატი განსხვავდება საბაკალავრო საფეხურზე არსებული ფორმატისგან, სამაგისტრო საფეხურზეც პრობლემად რჩება აპლიკანტის შემოქმედებით პოტენციალურ ნაკლები ფოკუსირება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამების კურიკულუმი
- თვითშეფასების ანგარიში;
- სტუ-ს ვებ-საიტი;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

დიზაინის საბაკალავრო პროგრამა

რეკომენდაციები: უკეთეს შესაბამისობაში მოიყვანეთ შემოქმედებითი ტურის კრიტერიუმები პროგრამის სწავლის შედეგებთან.

რჩევები: არ არის მითითებული.

დიზაინის სამაგისტრო პროგრამა

რეკომენდაციები:

- **რჩევები:** სპეციალობის გამოცდის ფარგლებში ტექნიკური (კომპიუტერული პროგრამის) კომპეტენციის გარდა, განიხილეთ შემოქმედებით ასპექტზე აქცენტირება და დავალებებისა და შეფასების მეთოდების შესაბამისად ადაპტირება.

შეფასება

კომპონენტი 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამეობა მოთხოვნებს
დიზაინის პროგრამა საბაკალავრო	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
დიზაინის პროგრამა სამაგისტრო	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტუ-ს აქვს სტუდენტთან პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების მდიდარი გამოცდილება.

კლასტერში დიზაინის ინგლისურენოვანი პროგრამები უზრუნველყოფენ სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების განვითარებას, სწავლის შედეგების და სწავლის დონეების შესაბამისად. დარგის სპეციფიკის შესაბამისად, პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების უმრავლესობა უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარების განვითარებას.

დიზაინის დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად, დიზაინის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები განსხვავდებიან შინაარსობრივად და მოიცავს სწავლებას დიზაინის, ხელოვნების, შესაბამისი ტექნოლოგიების და მასთან დაკავშირებული სფეროების სხვადასხვა კომბინაციით. სტუდიური პროექტები დიზაინის სხვადასხვა სფეროში არ განიხილება როგორც ცალკეული საკითხები ან პრობლემები, არამედ როგორც სისტემის ნაწილი, რაც აერთიანებს კვლევას, შემოქმედებით აზროვნებას და პრაქტიკას. ამ გარემოში, სტუდენტებს შეუძლიათ ინდივიდუალურად განვიითარონ პრაქტიკული და ზოგადი/ტრანსფერული უნარები. დამატებით, ექსტრაკურსულუმის აქტივობების მიზანია სტუდენტებისთვის შემოქმედებითი და კვლევითი უნარების განვითარება.

პროგრამის კურიკულუმებზე თანდართული დოკუმენტები და "დიზაინის საერთაშორისო სკოლის" ვებგვერდის ანალიზი ადასტურებს, რომ სკოლის სტუდენტები მუდმივად არიან ჩართულნი საერთაშორისო და ადგილობრივ პროექტებში, კლასგარეშე საგანმანათლებლო აქტივობებში, სხვადასხვა ტიპის ტრენინგებში, რეალურ პროექტების დაგეგმვაში, შემოქმედებით გამოფენებში, კონკურსებში, წლიურ კონფერენციებში, ადგილობრივ და

საერთაშორისო შემოქმედებით ვორქშოფებში, მასტერკლასებში, გამოფენებში სტუდენტური დღეების დარგლებში და ა.შ.

საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტი უზრუნველყოფილია. ეს ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად, ისე რომ სტუდენტს შეუძლია განივითაროს უკვე შეძენილი კომპეტენციები პრაქტიკულ გარემოში.

სტაჟირების ხელმძღვანელი პასუხისმგებელია სტაჟირების განხორციელებაზე, ის უზრუნველყოფს რომ სტაჟირება განხორციელდეს სრულყოფილად. მასპინძელი ორგანიზაცია დამატებით ნიშნავს მენტორს სტუდენტისთვის. პრაქტიკის განმავლობაში, მენტორი აცნობს სტუდენტს მასპინძელი დაწესებულების კანონქვემდებარე აქტებს, სტუდენტი მიყვება უსაფრთხოებისა და ეთიკის ნორმებს, ასრულებს კონკრეტულ სამუშაოს და აწარმოებს სასწავლო დღიურს პრაქტიკის კალენდარული გეგმისა და მენტორის მითითებების შესაბამისად.

აღნიშნული უზრუნველყოფს სტუდენტთა ჩართულობას შემოქმედებით და შემეცნებით აქტივობებში, პრაქტიკული და/ან სამეცნიერო კვლევითი ნაშრომების შემუშავებას, კურიკულუმის გარეთ ინიციატივების განხორციელებას და პრაქტიკული უნარების განმავითარებელი ინიციატივების განხორციელებას. დამატებით, სასურველია, ასეთმა ღონისძიებებმა შეიძინოს განსაკუთრებული მნიშვნელობა, პერიოდულად ჩატარდეს ერთობლივი ღონისძიებები, კონკურსები და გამოფენები სხვა უნივერსიტეტების იგივე დარგის სტუდენტებთან ერთად, გამოცდილების გაზიარებისა და ერთობლივი აქტივობების გაფართოების მიზნით.

სტუდენტები იღებენ ინფორმაციას, კონსულტაციას და დახმარებას სტუ-ს ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის მხრიდან, რომ განსაზღვრონ თავიანთი პროფილი, დაგეგმონ სწავლის პროცესი და გააუმჯობესონ მიღწევები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საბაკალავრო ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა "დიზაინი"
- სამაგისტრო ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა "დიზაინი"
- პროფესიული პრაქტიკის სილაბუსები
- ინტევიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუები
- შეთანხმებები და მემორანდუმები დიზაინის საერთაშორისო სკოლასა და იმ ორგანიზაციებს შორის, სადაც სტაჟირება ტარდება
- სტუ-ს ვებგვერდი; <http://gtu.ge>
- დიზაინის საერთაშორისო სკოლის ვებ გვერდი <http://gtu.ge/ids-en/>;
 - GTU-ს სტუდენტთა პრაქტიკის ჩატარებისა და შეფასების წესი

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები: კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა მიანიჭეთ სტუდენტურ ღონისძიებებს და დროდადრო მოაწყეთ ერთობლივი ღონისძიებები, კონკურსები და გამოფენები მომიჯნავე დარგების პროგრამების სტუდენტებთან, ასევე სხვა უნივერსიტეტების სტუდენტებთან ერთად, ამგვარად გაზარდეთ სტუდენტთა გამოცდილება და გააფართოვეთ თანამშრომლობითი საქმიანობის არეალი.

შეფასება

კომპონენტი 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
დიზაინის საბაკალავრო პროგრამა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
დიზაინის სამაგისტრო პროგრამა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და წყობა უზრუნველყოფს თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების შეძენას, ზოგადი და სექტორული კომპეტენციების ფორმირებას, რაც მიიღწევა აქტიური სასწავლო პროცესის შეთავაზებით, სადაც ახალი სტუდიური კურსები თამაშობს ინოვაციურ და მნიშვნელოვან როლს. სასწავლო კურსები მოიცავს სხვადასხვა აქტიურ სასწავლო მეთოდებს როგორცაა დამოუკიდებელ დიზაინის პროექტზე მუშაობას, ინდივიდუალ სამუშაოს და პორტფოლიოს, დაფვალებას, სამუშაოს მომზადებას პრეზენტაციებისთვის და კონფერენციებისთვის. დამატებით, პროგრამა მოიცავს პრაქტიკულ კომპონენტს სხვადასხვა საწარმოსთან თანამშრომლობით.

პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუს დროს, დადასტურდა, რომ სწავლის მეთოდები შეირჩა სასწავლო კურსისა და სწავლის შედეგების მიზნების შესაბამისად. პერსონალი საჭიროდ მიიჩნევს, რომ სტუდენტები გახდნენ იმ პროცესების

აქტიური მონაწილეები, რაც მათ საშუალებას აძლევს გახდნენ უფრო და უფრო ავტონომიურები და ასევე განივითარონ ტრანსფერული უნარები. ინტერვიუების დროს, დადასტურდა, რომ სამაგისტრო თეზიების ხელმძღვანელები მეთოდების შერჩევის დროს ყურადღებას აქცევენ პრობლემაზე და კვლევაზე დაფუძნებულ სწავლებას, რაც სტუდენტს დაეხმარება დამოუკიდებლად დაგეგმონ და განახორციელონ. სადაც საჭიროა, პერსონალი მზად არის შეარჩიოს ინდივიდუალური გეგმა და სწავლების მეთოდები საჭიროების მქონე ადამიანებისთვის.

პროგრამები ფოკუსირებულია თეორიული და სპეციალიზირებული პრაქტიკული ცოდნის კომბინაციაზე, სადაც სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდები გამოიყენება. ქვემოხსენებული სწავლა-სწავლების მეთოდები არის გამოყენებული სხვადასხვა აკადემიური კურსების ფარგლებში. ლექცია, სემინარი, პრაქტიკული სამუშაო, პრაქტიკა, კონსულტაცია, დამოუკიდებელი მუშაობა, საკურსო სამუშაო/პროექტი; დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი სწავლება, ჯგუფური მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), ევრისტიკული, შემთხვევის შესწავლა, "ტვინის შტორმის მეთოდი", როლური და სიტუაციური თამაშები, დემონსტრირება, ინდუქციური, დედუქციური, ანალიზი, სინთეზი, სიტყვიერი ანუ ზეპირი, წერილობითი, ახსნა , მოქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია. ჯგუფური სწავლება ეხმარება სტუდენტებს განივითარონ აზროვნების და მისი არტიკულაციის და კომუნიკაციის უნარები.

წარმოდგენილი პროგრამები სრულად ითვალისწინებს სწავლა-სწავლების მეთოდების გამოყენებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს, უმაღლესი განათლების "დიზაინი, სამრეწველო დიზაინი, მოდის დიზაინი, ტექსტილის დიზაინი" დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად. პროგრამების სილაბუსების ანალიზი ადასტურებს, რომ სასწავლო კურსების განხორციელებაში ჩართული პერსონალი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს თანამედროვე ევრისტიკული დიზაინის მეთოდების გამოყენებას.

სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგის მიზნით, ფაკულტეტს ჯერ არ აქვს სრულად დანერგილი ურთიერთ დაკვირვება, როგორც მეთოდი. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ეს მეთოდი კარგად მოერგება მასწავლებლების დისკურსზე ორიენტირებულ კულტურას, და ეს არა მხოლოდ დაეხმარება სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალის პასუხისმგებლობის გრძნობის შენარჩუნებას მუდმივ მაღალ დონეზე, არამედ გამოიწვევს მონიტორინგის მონაწილე პერსონალის პროფესიული უნარ-ჩვევების გაფართოებას და გამოცდილების გაზიარებას. მიზანშეწონილია კოლეგის გაკვეთილზე დასწრების შემდეგ შედგეს შესაბამისი ოქმი, სადაც მითითებული იქნება სასწავლო კურსი, თემა, გაკვეთილზე შესრულებული აქტივობები, დადებითი ასპექტები და გაუმჯობესების მომენტები, რასაც მონიტორინგში მონაწილე ორივე მხარე გადაამოწმებს. ასეთი პრაქტიკა ხელს შეუწყობს პროგრამის განვითარებას და საუკეთესო პრაქტიკების ურთიერგაზიარებას.

დიზაინის საბაკალავრო პროგრამა

კურსში "Graphics Studio-ს შესავალი" მოიცავს "აქტივობებს, რომლებიც შესაბამისია სწავლა-სწავლების მეთოდებთან". დისკუსია/დებატები და ა.შ., წერითი დავალება" კურსი მხოლოდ მოიცავს პრაქტიკული მუშაობის 45 საათს. "შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების" სია არ მოიცავს წერითი დავალების შეფასებას. ამის საფუძველზე აღნიშნული სია უნდა დაკორექტირდეს რეალურად მოქმედ აქტივობებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი მოიცავს პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას სასწავლო პროცესში. თუმცა, მაშინ როცა მთელი რიგი სასწავლო კურსების მიზანია, რომ სტუდენტებს განუვითარონ კომპლექსური და არაპროგნოზირებადი პრობლემების გადაწყვეტის უნარი (მაგალითად, "სამრეწველო პრაქტიკა" - უვითარებს სტუდენტს კოგნიტურ და პრაქტიკულ პროფესიონალურ დარგის უნარებს, რომ გადაჭრან კომპლექსური და არაპროგნოზირებადი პრობლემები). "ინტერდისციპლინური პროექტი" (იძლევა ეკონომიკაზე დაფუძნებული ცოდნის სწრაფ ცვლილებას, პრობლემაზე-დაფუძნებული სწავლების გამოყენებით), სწავლა-სწავლების მეთოდების სიაში "პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება" საერთოდ არ არის ჩამონათვალში.

დიზაინის სამაგისტრო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი მოიცავს პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას სასწავლო პროცესში. თუმცა, მაშინ როცა მთელი რიგი სასწავლო კურსების მიზანია, რომ სტუდენტებს განუვითარონ კომპლექსური და არაპროგნოზირებადი პრობლემების გადაწყვეტის უნარი (მაგალითად, "სტაჟირება" - უვითარებს სტუდენტს კოგნიტურ და პრაქტიკულ პროფესიონალურ დარგის უნარებს, რომ გადაჭრან კომპლექსური და არაპროგნოზირებადი პრობლემები). „მომხმარებელზე ორიენტირებული სტუდია“ (გაუმჯობესდეს ინდივიდუალური და ერთობლივი დიზაინის საფუძველზე პრობლემის გადაჭრის უნარები) სწავლა-სწავლების მეთოდების შესაბამისი აქტივობების ჩამონათვალში „პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)“ არ შედის.

სასწავლო კურსში - ინგლისური ენა ბიზნეს კომუნიკაციისთვის - პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება მითითებულია როგორც სწავლის მეთოდი, როცა კურსის შინაარსი არ ახსენებს პრობლემაზე-დაფუძნებულ საკითხებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა (სწავლების და სწავლის მეთოდები);
- აკადემიური კურსების სილაბუსები
- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა;

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული.

კლასტერის საერთო რჩევები:

კოლეგიალური დაკვირვების პრაქტიკის დანერგვა და მისი სათანადო დოკუმენტირება, რაც ხელს შეუწყობს არა მხოლოდ სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალის პასუხისმგებლობის გრძნობის მაღალ დონეზე შენარჩუნებას, არამედ მონიტორინგში მონაწილე პერსონალის პროფესიული უნარების გაფართოებას და გამოცდილების გაზიარებას.

დარწმუნდით, რომ სილაბუსებში ნახსენები სწავლებისა და სწავლის შეჯამებული მეთოდები ზუსტად ემთხვევა კურსის ერთეულებისთვის აღწერილ ფაქტობრივ აქტივობებს და განაახლეთ სილაბუსები საჭიროების შემთხვევაში.

შეფასება

კომპონენტი 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
დიზაინის პროგრამა საბაკალავრო	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
დიზაინის პროგრამა სამაგისტრო	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა დანერგა შესაბამისი შეფასების სისტემა, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აღწერილია თითოეულ სილაბუსსი. შეფასების სისტემა შეესაბამება მოქმედ რეგულაციებს. სტუდენტებს ასევე აქვთ დამატებითი გამოცდის ჩაბარების შესაძლებლობა, თუ პირველივე ცდაზე ისინი ვერ ჩააბარებენ. სტუ-მა დანერგა შეფასების სისტემა 7 ეტაპად (5 მათგანი არის პოზიტიური) და სრულ შესაბამისობაშია საქართველოს განათლების მინისტრის N3 ბრძანებასთან.

- ფრიადი - 91-100 ქულა;
- ძალიან კარგი - 81-90 ქულა;
- კარგი - 71-80 ქულა;
- დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა
- საკმარისი - 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებები:

- (FX)- ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც გულისხმობს, რომ სტუდენტს მეტი მუშაობა ჭირდება ჩასაბარებლად და ენიჭება უფლება გაიაროს დამატებითი გამოცდა, რისთვისაც მოემზადება დამოუკიდებლად;
- (F)- ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასება 40 და ნაკლები, ეს ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაო არ არის საკმარისი და მან ხელახლა უნდა გაიაროს საგანი.

შუალედური შეფასების მაქსიმალური შეფასება არ არის 60 ქულაზე მეტი და საბოლოო გამოცდის შეფასების მაქსიმალური ქულა არ არის 40 ქულაზე ნაკლები. ზემოხსენებულის შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ შეფასების ყველა ფორმალური კრიტერიუმი არსებობს და არის რელევანტური. სტუდენტები იგებენ შეფასების სტრუქტურებსა და მექანიზმებს ორივე პროგრამის შემთხვევაში და კმაყოფილნი არიან. ასევე, მათ იციან როგორ გაასაჩივრონ შეფასება, საჭიროების შემთხვევაში.

გასაჩივრების პროცედურები ადეკვატურია. თითოეული გასაჩივრებისთვის, სააპელაციო საბჭო იქმნება სტუდენტის ნამუშევრისა და საბოლოო შეფასების განხილვის მიზნით.

ზემოაღნიშნული პირდაპირი შეფასების სისტემის გარდა, სტუ-ში მოქმედებს არაპირდაპირი შეფასების მექანიზმი. ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კომისია, ხარისხის სამსახურთან ერთად, უზრუნველყოფს სასწავლო კურსის სწავლის შედეგების ანალიზს. არსებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება ხდება იმ ცვლილებებთან მიმართებით, რაც უნდა განხორციელდეს პროგრამის ფარგლებში.

სამაგისტრო თეზისის შეფასებასთან დაკავშირებით, როგორც ჩანს არსებობს სტუ-ს რეგულაციები, რომლებიც არ ემთხვევა სამაგისტრო ნაშრომის შეფასების რეალურ სიტუაციას, რაც გულისხმობს მასწავლებელთა კომიტეტის არსებობას, რომელსაც აქვს ხელმძღვანელობის უფლება, ერთობლივად განიხილავს ნაშრომს კომიტეტის ფარგლებში და შეთანხმებას იღებს საბოლოო შეფასებაზე.

თვითშეფასების ანგარიშის 39 - ე გვერდზე, აღწერილია ფარული კენჭისყრის რთული სისტემა, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ საგამოცდო კომისიას, არამედ შეფასების დამთვლელ კომისიას, რომელიც უნდა აკონტროლებდეს ფარულ კენჭისყრას. აღწერილია გამოსაყენებელი ქაღალდის ხარისხიც კი (A4, 80გ/მ2 სიმკვრივე). ჩვენს ინტერვიუებში, სამაგისტრო თეზისების ხელმძღვანელები არ იცნობენ ასეთ პრაქტიკას, ასე რომ ჩვენი რეკომენდაციაა არსებული რეგულაციების მორგება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დიზაინის საგანმანათლებლო პროგრამები
- გასაუბრებები
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- სტუდენტთა აკადემიური პროგრესის მონიტორინგის ელ სისტემა <https://vici.gtu.ge>

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

დიზაინის სამაგისტრო პროგრამა

რეკომენდაციები: მოარგეთ სამაგისტრო ნაშრომის შეფასების რეგულაციები ისე, რომ ისინი შეესაბამებოდეს შეფასების კომიტეტის მიერ გამოყენებულ პრაქტიკას, რომელიც ღიად განიხილავს ნაშრომს და ერთობლივად წყვეტს შეფასებას.

რჩევები: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 2.4. - სტუდენტის შეფასება		შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
დიზაინის პროგრამა	საბაკალავრო	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
დიზაინის პროგრამა	სამაგისტრო	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
დიზაინის პროგრამა	საბაკალავრო	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
დიზაინის პროგრამა	სამაგისტრო	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტთა კმაყოფილება ნათელია ორივე პროგრამის შემთხვევაში. ინტერვიუებში, სტუდენტები ადასტურებენ, რომ იღებენ ინდივიდუალურ ყურადღებას და მხარდაჭერას. ისინი უზრუნველყოფილნი არიან მუდმივი კონსულტაციით, ისინი იცნობენ პროცედურულ საკითხებს და მათ აქვთ შესაძლებლობა, რომ დაიცვან თავიანთი უფლებები ფაკულტეტის და ცენტრალურ დონეზე.

სტუ მნიშვნელოვნად აფინანსებს სტუდენტურ სერვისებს. წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით, მთლიანი დაფინანსება 2022 წელს იყო 1,235,811 ლარი. სტუდენტების მხარდაჭერა ძირითადად გამოიხატება ფაკულტეტის სტიპენდიით და სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებული შეღავათების დაწესებაში.

სტუდენტური სერვისების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი ფუნქციონირებს უნივერსიტეტის დონეზე. ისინი აქტიურად არიან ჩართულნი კლასგარეშე აქტივობების ორგანიზებასა და დაფინანსებაში, მუდმივად ზრუნავენ სპორტისა და კულტურის პოპულარიზაციაზე, სტუდენტებსა და ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე, სტუ-ს სახელით ნიჭიერი სტუდენტების გამოვლენისა და მათ მონაწილეობაზე მსოფლიო და ეროვნულ აქტივობებში.

სტუდენტები და კურსდამთავრებულები ადასტურებენ, რომ ისინი მუდმივად არიან ჩართულნი სასწავლო პროგრამების განახლების პროცესში. მათ შეძლეს დაესახელებინათ ცვლილებების კონკრეტული მაგალითები, რომლებიც განხორციელდა მათი რჩევების შესაბამისად.

დიზაინის საერთაშორისო სკოლები ინარჩუნებენ პარტნიორობას დამსაქმებლებთან, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ სტუდენტთა პრაქტიკით უზრუნველყოფაში და შესაბამისი უნარების განვითარებაში. შესაძლებლობებისა და სერვისების ხელმისაწვდომობისა და მრავალფეროვნების მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ ასევე გამოიკვეთა ინტერნაციონალიზაციის შემდგომი გაუმჯობესების საკითხი. ჩვენ ვიღებთ უკუკავშირს სტუდენტებისგან, რომ გაცვლითი პროგრამები არ არის ადვილად ხელმისაწვდომი პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე.

კრედიტაციის პროცესის ფარგლებში, ელექტრონული კომუნიკაციის პლატფორმა VICI ასევე აღსანიშნავია, სადაც კონკრეტული ინფორმაცია სტუდენტებისთვის მოცემულია, თუმცა გამოვლინდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტები იღებენ ინფორმაციას ელ. შეტყობინების სახით, მათ ასევე სჭირდებათ შეტყობინება მატერიალური ფორმით. ჩვენი რეკომენდაციაა, ამის ცვლილება და საშუალება მიეცით სტუდენტებს გამოიყენონ ელექტრონული სერვისები სრულად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სტუ-ის კანცლერის ანგარიში 2022
- ინტერვიუები
- სტუ-ის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელ. სისტემა <https://vici.gtu.ge>
- სტუ-ს ვებგვერდი.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: ონლაინ პლატფორმაზე VICI, მიეცით საშუალება სტუდენტებს, წარმოადგინონ ნებისმიერი სახის შეტყობინება ელექტრონული ფორმით.

კლასტერის საერთო რჩევები: სასურველია ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის შემდგომი გაუმჯობესება, გაცვლითი პროგრამებისა და მობილობით წასული სტუდენტების რაოდენობის გაზრდით.

შეფასება

კომპონენტი 3.1 - სტუდენტთა კონსულტირება და მათი მხარდაჭერის სერვისები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
დიზაინის საბაკალავრო პროგრამა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
დიზაინის სამაგისტრო პროგრამა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი სათანადო მხარდაჭერას უწევს მაგისტრანტებს და დოქტორანტებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესასრულებლად.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა საშუალებას იძლევა სწორად განახორციელონ სამეცნიერო ზედამხედველობა.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დიზაინის სამაგისტრო პროგრამა

უნივერსიტეტს აქვს სამაგისტრო თეზისზე მუშაობის წესი. პროგრამას მხარს უჭერენ კვალიფიციური დისერტაციის ხელმძღვანელები, რომლებიც სრულად არიან ჩართულნი პროცესში. სამაგისტრო ხელმძღვანელი არის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი, მოწვეული პროფესორი, მოწვეული ასოცირებული პროფესორი, მოწვეული ასისტენტ პროფესორი სტუ-ის შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტიდან, ასევე სტუ-ში ინტერგრირებული სამეცნიერო ინსტიტუტების უფროსი მეცნიერ თანამშრომელი. სამაგისტრო თეზისი ხელმძღვანელი შესაძლებელია იყოს თანამშრომელი სხვა პარტნიორი ინსტიტუტებიდან, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი, თუ არსებობს ურთიერთთანხმების მემორანდუმი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და ამ დაწესებულებას შორის. სამაგისტრო თეზისის ფარგლებში, სტუდენტები იღებენ

ინდივიდუალურ კონსულტაციებს და არ არიან შეზღუდულნი აირჩიონ თემატიკა. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას, ანტიპლაგიატის პროგრამა გათვალისწინებულია, უნივერსიტეტი ამას მხარს უჭერს სპეციალური ელექტრონული სისტემით, სადაც ხდება წერილობითი ნამუშევრების ავტომატური ანალიზი. უნივერსიტეტი თანამშრომლობს მთელ რიგ საწარმოებთან, რომლებიც იძლევიან სტაჟირების შესაძლებლობას (დასტურდება ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით), რაც ასევე მნიშვნელოვანია სამაგისტრო თეზისი მომზადების პროცესში.

სამაგისტრო პროგრამის შინაარსთან დაკავშირებით, იხილეთ კომენტარები და რჩევები ქვესტანდარტ 1.4,-თან მიმართებით.

მაგისტრანტების/დოქტორანტების ზედამხედველობასთან დაკავშირებული მონაცემები პროგრამა 1 (სახელწოდება/საფეხური)*	
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	9
სადოქტორო თეზისების ხელმძღვანელების რაოდენობა	-
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	18
დოქტორანტების რაოდენობა	-
თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები	1/2
თანაფარდობა - სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელები/დოქტორანტები	-

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დოკუმენტები, რომელიც ადასტურებს მაგისტრანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაციას
- სტუ-ის რეგულაციები სამაგისტრო საფეხურზე
- ინტერვიუები

შეფასება

კომპონენტი 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა დიზაინის სამაგისტრო პროგრამა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

⁴ საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამისობაშია მოთხოვნებს
დიზაინის საბაკალავრო პროგრამა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
დიზაინის სამაგისტრო პროგრამა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციების მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რაც დასტურდება პროგრამაზე თანდართული დოკუმენტაციით. აკადემიური პერსონალი შერჩეულია ღია კონკურსის წესით „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად.

მათი კვალიფიკაციები შესაბამისობაშია კანონმდებლობის მოთხოვნებთან და უსდ-ს შინაგანაწესით გაწერილ სტანდარტებთან. ორივე აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს აქვს შესაბამისი კომპეტენცია, რაც დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში მათი პუბლიკაციებით და შემოქმედებითი პროექტებით, და მათი საერთაშორისო აქტივობით. ეს შეფასება დასტურდება უნივერსიტეტის ხელმძღვანელებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუებით.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პროცესის განხორციელებას. პერსონალის მონაცემების ანალიზით, დასტურდება, რომ მათ აქვთ საკმარისი კომპეტენცია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

თანაფარდობა მოწვეულ და აკადემიურ პერსონალს შორის და მათი შესაბამისობა სტუდენტთა რაოდენობასთან უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

უსდ-ს აქვს ნათლად განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისთვის, მათი სამუშაოს აღწერის, ფუნქციებისა და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით. პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან დადებულია შრომითი ხელშეკრულებები.

დასაქმებულის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მასშტაბი, ასევე უფლება-მოვალეობები განისაზღვრება აღნიშნული ხელშეკრულებითა და სხვა სამართლებრივ-ნორმატიული აქტებით. შრომითი კონტრაქტი და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციები ნათლად აღწერს დასაქმებულს უფლებებსა და მოვალეობებს, დასაქმებულების ხელფასს, სამუშაო გრაფიკს, შვებულების პირობებს, კონტრაქტის ხანგრძლივობასა და შეწყვეტის პირობებს. აკადემიურ პერსონალს აქვს ხელმოწერილი აფილირების შეთანხმება უნივერსიტეტთან, რომელიც რეგულირდება შესაბამისი წესებით. არსებული პროცედურები არის გამჭვირვალე და თითოეული ეტაპის შესახებ ინფორმაცია არის ღია, ხელმისაწვდომი და ადვილად გასაგები დაინტერესებული მხარეებისთვის.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩართვა საერთაშორისო აქტივობებში უზრუნველყოფს სწავლების მაღალ დონეზე განხორციელებას, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ჩვენ ვხედავთ პერსონალის დიდ ინტერესს პროგრამის შემდგომი გაგრძელებისა და სტუდენტების განათლებასთან დაკავშირებით, რაც ნათლად დადასტურდა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების დროსაც.

ორი პროგრამის ხელმძღვანელს აქვს საჭირო ცოდნა და მდიდარი გამოცდილება პროგრამის განვითარებისთვის და განხორციელებისთვის, რაც დასტურდება მათი რეზიუმეებით, რაც მოიცავს მრავალწლიან სამეცნიერო-პრაქტიკულ, შემოქმედებით, პედაგოგიურ და საერთაშორისო მუშაობას, სამეცნიერო პუბლიკაციებს, შემოქმედებით პროექტებს, სახელმძღვანელოებს და სალექციო კურსებს, რაც საჭიროა პროგრამის განხორციელებისთვის.

პროგრამების ხელმძღვანელი აქტიურად თანამშრომლობს დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით, რაც დადასტურდა დამსაქმებლებთან, სტაჟირების ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების შედეგად.

დიზაინის საბაკალავრო პროგრამა

ინგლისურენოვანი საბაკალავრო "დიზაინის" პროგრამა ხორციელდება მაღალკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ, რომელთაც აქვთ პროგრამის სწავლის შედეგებისთვის საჭირო კომპეტენცია, რაც დასტურდება მათი პერსონალური მონაცემებით.

აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რიცხვი და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიერ განსაზღვრული სასწავლო პროცესის მართვას, ასევე სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო აქტივობების სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების სათანადო შესრულებას. აკადემიური და მოწვეული პერსონალის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას, რაც რეგულირდება "სტუ-ში აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესით". პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობრივი ინდიკატორები მოცემულია ცხრილში.

დიზაინის საბაკალავრო პროგრამა				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი⁵	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი⁶	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა	20	20	12	14
პროფესორი:	9	9	7	9
ასოცირებული პროფესორი	4	4	1	4
ასისტენტ პროფესორი	1	1	-	1
ასისტენტი			-	
მოწვეული პერსონალი	6	6	4	
სამეცნიერო პერსონალი				

პროგრამის ადამიანური რესურსები სრულად თავსებადია სტანდარტთან.

დიზაინის სამაგისტრო პროგრამა

⁵ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

⁶ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა "დიზაინი" ხორციელდება მაღალკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ, რომელთაც აქვთ საჭირო კომპეტენცია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად, რაც დასტურდება პირადი მონაცემებით.

აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რიცხვი და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიერ განსაზღვრული სასწავლო პროცესის მართვას, ასევე სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო აქტივობების სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების სათანადო შესრულებას. აკადემიური და მოწვეული პერსონალის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას, რაც რეგულირდება "სტუ-ში აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესით". პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობრივი ინდიკატორები მოცემულია ცხრილში.

დიზაინის სამაგისტრო პროგრამა				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი⁷	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი⁸	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა	14	14	8	9
პროფესორი:	6	6	5	6
ასოცირებული პროფესორი	3	3	-	3
ასისტენტ პროფესორი	-	-	-	-
ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	5	5	3	-
სამეცნიერო პერსონალი				

პროგრამის ადამიანური რესურსები სრულად თავსებადია სტანდარტთან.

⁷ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

⁸ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აკადემიურ პოზიციებზე ღია კონკურსის გამოცხადება
- აკადემიური პერსონალის სამეცნიერო და შემოქმედებითი მიღწევები
- დიზაინის საერთაშორისო სკოლის წესდება
- სტუ-ის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის სტატუსის შესახებ 9აკადემიური საბჭოს რეზოლუცია No. 01-05-04/163, 08.11.2021);
- რეზიუმეები, საკვალიფიკაციო დოკუმენტები, სამეცნიერო ნაშრომების და პროექტების სია, აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი ფაილები
- სერტიფიკატები, რომლებიც ადასტურებენ აკადემიური პერსონალის მონაწილეობას ტრენინგში
- ერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა
- სტუ-ში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი
- პერსონალის რაოდენობის დადგენის მეთოდოლოგია;
- ინტერიუს შედეგები პროგრამების ხელმძღვანელებთან, ადმინისტრაციასთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან

შეფასება

კომპონენტი 4.1. ადამიანური რესურსები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
დიზაინის პროგრამა საბაკალავრო	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
დიზაინის პროგრამა სამაგისტრო	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტებს და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და, საჭიროების შემთხვევაში, თანახელმძღვანელი/ თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება კვლევის სფეროში.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დიზაინის სამაგისტრო პროგრამა

დიზაინის სამაგისტრო პროგრამა			
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელებ ი	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით	სამაგისტრო/სა დოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელ თა რაოდენობა

სადოქტორო/სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	9	4	9
პროფესორი:	4	3	4
ასოცირებული პროფესორი	3		3
ასისტენტ პროფესორი			
მოწვეული პერსონალი	2	1	–
სამეცნიერო პერსონალი			–

საერთაშორისო დიზაინის სკოლაში დასაქმებული აკადემიური პერსონალის განვითარება ეფუძნება უნივერსიტეტის ზოგად სტრატეგიას, რომელიც მოცემულია სტუ -ის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკასა და სტრატეგიაში. უნივერსიტეტი ქმნის გარემოს, სადაც ორივე აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს აქვს შესაძლებლობა, რომ მაქსიმალურად გამოავლინოს თავისი პოტენციური კვლევის, სწავლებისა და შემოქმედებით პროცესში.

სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში დასაქმებული პერსონალის შესახებ არსებული ინფორმაციის ანალიზი აჩვენებს, რომ სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი აქტივობების დინამიკა იზრდება, რაც დასტურდება მათ მიერ წარმოდგენილი პორტფოლიოების ანალიზით. არ არსებობს ეჭვი, რომ სამაგისტრო თეზისებს ჰყავს კომპეტენტური ხელმძღვანელები.

მაგისტრანტის ხელმძღვანელის არჩევა/დანიშვნა ხორციელდება სამაგისტრო საფეხურისთვის სტუ-ის რეგულაციით: პროფესორები, ასოცირებული პროფესორები, ასისტენტ პროფესორები, მოწვეული პერსონალი/პედაგოგები, ემერიტუსები, სტუ-ში ინტეგრირებული სამეცნიერო ინსტიტუტების/ცენტრების უფროსი ან წამყვანი სამეცნიერო მუშაკები (დოქტორის ხარისხით) შესაძლებელია დაინიშნოს ხელმძღვანელებად.

ხელმძღვანელები სტუდენტებთან თანამშრომლობით შეიმუშავებენ ინდივიდუალურ სამუშაო გეგმას, სადაც სამაგისტრო თეზისის სახელწოდება, სავალდებულო და არჩევითი საგნების სია, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის მიმართულებით აქტივობები არის განსაზღვრული. ხელმძღვანელი ესწრება სამაგისტრო ნაშრომის ასრულებას და ამზადებს სტუდენტს დაცვისთვის. სამაგისტრო თეზისების თემატიკასთან და ფორმატთან დაკავშირებით, იხ. კომენტარები და რჩევები ქვესტანდარტ 1.4. თან დაკავშირებით.

პროგრამაზე არსებული მოთხოვნასა და მაღალ რეპუტაციაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ სამაგისტრო სტუდენტების უმეტესობა არის სხვა ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები, რომლებმაც დაადასტურეს მათი კმაყოფილება ინტერვიუს დროს.

პროგრამის თვითშეფასების ანგარიში მოიცავს სამაგისტრო თეზისების სიას, თუმცა ტექნიკური ხარვეზები არსებობს, ტექსტის დასაწყისში, სადაც პროგრამის სახელწოდების "დიზაინის" მაგივრად წერია "სასტუმროს სერვისის მენეჯმენტი" და ეს უნდა გასწორდეს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დიზაინის საერთაშორისო სკოლის წესდება
- სტუ-ს რეგულაციები სამაგისტრო ხარისხთან მიმართებით (ოთხი დანართით)
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის პერსონალური ინფორმაცია და საკვალიფიკაციო დოკუმენტები
- სამაგისტრო თეზისის ხელმძღვანელის ფუნქციები
- აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია პროგრამების მიხედვით
- ანგარიში სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრების შესახებ

შეფასება

კომპონენტი 4.2. მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
დიზაინის პროგრამა	სამაგისტრო <input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- უსდ-მ რეგულარულად ატარებს პროგრამის პერსონალის მუშაობის შეფასებას და აანალიზებს შეფასების შედეგებს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტუ-მა შეიმუშავე პერსონალის პროფესიული განვითარების შესაძლებლობები. ეს სტრატეგია მიზნად ისახავს სამ ასპექტს, კერძოდ:

- ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო აქტივობები
- ხარისხზე ორიენტირებული სამეცნიერო კვლევითი აქტივობები
- ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა,

ჩვენი ინტერვიუებიდან, როგორც შევითქვეთ, საერთაშორისო დიზაინის სკოლის პერსონალმა იცის ის მხარდაჭერის შეთავაზებები, რაც უნივერსიტეტის ყველა პერსონალისთვის არსებობს, თუმცა ჩვენ ასევე ვგრძნობთ გარკვეულ ბუნდოვანებს ამ შეთავაზებების რელევანტურობასთან დაკავშირებით სკოლის საჭიროებებთან.

საერთაშორისო დიზაინის სკოლის პერსონალს აქვს ინსტიტუციური მხარდაჭერა სამეცნიერო (და რა თქმა უნდა, შემოქმედებით დიზაინის სპეციფიკით) კარიერული მიმართულებით, რომელის მიზანია საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები და კონფერენციებში მონაწილეობა. ჩვენ მხარს ვუჭერთ დაწესებულებას, რომ გააგრძელოს ეს

მიმართულება და თუ შესაძლებელია გააძლიეროს საერთაშორისო აქტივობები, არამართო მხარი დაუჭირონ ინდივიდუალურ კომპეტენციებს და კარიერას, არამედ პერსონალმა უნდა მისდოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას და გახდნენ უფრო ჩართულნი ინსტიტუციურ დონეზე, სტრატეგიებისა და მიდგომების განვითარების მიზნით.

სტუ-ს როგორც ჩანს, სწავლებისა და სწავლის მხარდაჭერა ხდება უფრო ზოგად დონეზე, ძალიან ფართო და განახლებული კომპონენტებით, ასევე ელექტრონული სწავლების, ონლაინ თანამშრომლობისა და მიმდინარე მოვლენებზე აუცილებელი კრიტიკული რეფლექსიის კონტექსტში. ზოგიერთი ამ აქტივობიდან როგორც ჩანს არ არის პირდაპირ რელევანტური დიზაინის მიმართულებით განათლებისთვის. პერსონალის მონაწილეობის გაზრდის მიზნით, ჩვენ მხარს ვუჭერთ სტუ-ს შექმნას რამდენიმე სპეციალიზირებული (არა აუცილებლად ბევრი) შეთავაზება, რომელიც მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული დიზაინის განათლების საჭიროებებისთვის: მაგალითად, სტუდენტების მცირე ჯგუფების სწავლება, სხვადასხვა დისციპლინების კომპეტენციების ინტეგრირება, მხატვრული კვლევების საერთაშორისო მოდელები და ა.შ.

რადგან არსებულმა დრომ არ მოგვცა საშუალება პირდაპირ დაგვესვა შეკითხვა პროგრამების ხელმძღვანელებისთვის, ჩვენ ვეყრდნობით თვითშეფასების ანგარიშს, სადაც არ არის ნახსენები სპეციალური მხარდაჭერა პროგრამის ხელმძღვანელებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო დიზაინის სკოლამ უკვე აჩვენა ცვლილებების დიდი შესაძლებლობა, უნივერსიტეტის თვალსაზრისით მაინც სასურველი იქნებოდა პროგრამის ხელმძღვანელებისთვის სწავლის მიმზიდველი და მორგებული შესაძლებლობების შეთავაზება, რადგან ისინი მომავალი განვითარებისა და ინოვაციების ღირებული მამოძრავებელია, იქნება ეს გარე ცოდნის შექმნის კუთხით, გაძლიერებული შიდა ქსელის თუ ურთიერთ ასახვის თვალსაზრისით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება 01-09-10/273 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების ფაკულტეტზე არსებული კომისიების შესახებ, დათარიღებული 19.11.2019: <https://gtu.ge/quality/Files/Pdf/brdzaneba%20da%20reglamenti.pdf>
- აკადემიური საბჭოს რეზოლუცია 531 "შეფასების სისტემა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს პასუხი, დათარიღებული 2011 წლის 27 სექტემბრით - <https://gtu.ge/quality/Files/Pdf/531%20shfaseba.pdf>
- პერსონალის სამეცნიერო და შემოქმედებითი ანგარიში 2018-2021) (დანართი 16)
- აკადემიური პერსონალის სამეცნიერო მიღწევები <http://my.gtu.ge>
- აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის საერთაშორისო მობილობა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოცდილება და გამოწვევები <http://erasmusplus.org.ge/files/publications/Research%20Projects/GEO/ICM%20Staff%20Mobility%20Study%202019.pdf>
- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტები (დანართი 9)

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კითხვარის ანალიზი (დანართი 14)
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარებისთვის მექანიზმები - <https://gtu.ge>
- საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი - აკადემიური საბჭოს რეზოლუციაც 450¹, დათარიღებული 2011 წლის 6 მაისით - <https://gtu.ge/quality/Files/Pdf/450cesi.pdf>

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული.

კლასტერის საერთო რჩევები: შეინარჩუნეთ და, თუ ეს შესაძლებელია, გააძლიერეთ საერთაშორისო აქტივობები, რადგან ისინი საკვანძოა პერსონალისთვის სასარგებლო განვითარებისთვის და ქართულ ინსტიტუტებს შორის ცოდნის გადაცემისათვის და საერთაშორისო განვითარებისთვის.

ჩამოაყალიბეთ რამდენიმე სპეციალიზებული (არაა საჭირო ბევრი) შეთავაზება სწავლებისა და სწავლის მეთოდების სფეროში, რაც ცალსახად მორგებული იქნება დიზაინის განათლების საჭიროებებზე;

პროგრამის ხელმძღვანელებს შესთავაზეთ რამდენიმე მიმზიდველი და მათზე მორგებული ტრენინგის შესაძლებლობები.

შეფასება

კომპონენტი 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
დიზაინის საბაკალავრო პროგრამა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
დიზაინის სამაგისტრო პროგრამა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია საჭირო ინფრასტრუქტურით, სასწავლო სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ტექნიკური აღჭურვილობით.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დიზაინის დარგის სასწავლო პროგრამებისთვის, განსაკუთრებით მათთვის, რომლებიც ფოკუსირებულია სტუდიურ მუშაობაზე, წარმოება და ექსპერიმენტი მნიშვნელოვანია.

ამ მხრივ, გასაკვირია, რომ მსგავსი საერთოდ არ იყო თვითშეფასების დოკუმენტში ნახსენები. საბედნიეროდ, არსებობს რამდენიმე სივრცე სტუდენტებისთვის, ერთის მხრივ პირდაპირ ინტეგრირებული ძირითად შენობასთან, სადაც დიზაინის საერთაშორისო სკოლა მდებარეობს

და მეორე უფრო დისტანციურად, თუმცა მეტი წარმოების შესაძლებლობებით სტუდენტებისთვის.

მჭიდროდ განლაგებული ობიექტები მოიცავს სივრცეს კოლექტიური ხატვითვის, ძალიან პატარა ხის სახელოსნოსა და ბეჭდვის შესაძლებლობებს. აგრეთვე, არსებობს კომპიუტერული სივრცე, რომელზეც მოთხოვნა მცირდება მსგავსი წარმადობის კერძო საკუთრებაში არსებული ლეპტოპების გამო.

სტუდენტებს შეუძლიათ გამოიყენონ ხის და ხის ალდგენის ცენტრალური სახელოსნო, სადაც მათ ეხმარებიან სპეციალიზებული პერსონალი.

განსაკუთრებით საყურადღებოა საკმაოდ მოწინავე 3D წარმოების ობიექტი, სადაც ხელმისაწვდომია 3D პრინტერები, CNC ფრეზირების მანქანები და სხვა მოწინავე ხელსაწყოები - გარკვეული პრიორიტეტით დამამთავრებელი სტუდენტებისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ უსაფრთხოების საკითხები არ არის ნახსენები პროგრამის აკრედიტაციის კრიტერიუმად, პასუხისმგებელნი ვართ აღვნიშნოთ აშკარად საშიში სიტუაცია ცენტრალური ხის სახელოსნოს შესასვლელ დერეფანში, კერძოდ, წრიული ხერხი ღია კაბელით, რომელიც პოტენციურად საშიში ჩანს არა მხოლოდ სტუდენტებისთვის, არამედ საოპერაციო პერსონალისთვისაც.

ლითონის დამუშავების, კერამიკის, მინის და სხვა საამქროების დამატებითი საშუალებები სასურველი იქნებოდა ექსპერიმენტების შესაძლებლობების გასაზრდელად, მაგრამ ასევე არსებული ობიექტების უკეთესი ინტეგრაციისთვის, მაგ. ტექსტილის დიზაინის კონტექსტში, სასარგებლო იქნება ორივე პროგრამისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ფინანსური შეზღუდვები აშკარა პრობლემაა, დაწესებულებამ უნდა შექმნას სტრატეგიული გეგმა, რომელიც ითვალისწინებს შიდა სახელოსნოების და თანამშრომლობის სასურველ განვითარებას, რათა ხელი შეუწყოს სამომავლო ინვესტიციებს.

სტუ-ის შთამბეჭდავი ბიბლიოთეკა მოიცავს ისტორიული და თანამედროვე ლიტერატურის ფართო სპექტრს, რომელიც მუდმივად განახლდება, არა მხოლოდ ბეჭდვითი, არამედ ციფრული პროდუქტებით, შესაბამისად, ფართოდ ხელმისაწვდომია. ელ. ბაზების ფართო არჩევანი ასევე ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, არა მხოლოდ ადგილზე, არამედ ინტერნეტით.

ყოველი რესურსის შემოწმების გარეშე, არსებობს ეჭვი, რომ ბიბლიოთეკაში სასწავლო კურსის სილაბუსებში აღნიშნული მთელი ლიტერატურა საკმარისად ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის.

დიზაინის საბაკალავრო პროგრამა

ვინაიდან მატერიალურ რესურსებს იყენებენ ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტებიც, საბაკალავრო პროგრამაზე დამატებითი შენიშვნა არ არსებობს.

დიზაინის სამაგისტრო პროგრამა

განსაკუთრებით სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვის, სტუ-ს კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა გთავაზობთ უამრავ რესურსს სამაგისტრო ნაშრომისთვის. რაც შეეხება სახელოსნოს ობიექტებს, ზემოთ მოცემული მოსაზრებები ასევე ვრცელდება საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- შესაბამისი შენობებისა და ობიექტების მონახულება, მოიცავს სახელოსნოებს და ბიბლიოთეკას.
- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებები
- სტუდენტთა გამოკითხვების შედეგები;
- სტუ-ის ცენტრალური სამეცნიერო ტექნიკური ბიბლიოთეკა: <http://gtu.ge/Library/>
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის გამოყენების წესი და ტექნიკური უნივერსიტეტის ფილიალები - https://gtu.ge/Library/Pdf/sarg_wes_2020.pdf

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული.

კლასტერის საერთო რჩევები: შექმენით სტუდენტებისთვის სახელოსნოს ყველა ობიექტის და წარმოების/ექსპერიმენტების შესაძლებლობების მიმოხილვა, გამოყენების პირობების შესახებ შესაბამის ინფორმაციასთან ერთად.

შეამოწმეთ უსაფრთხოების ზომები ყველა სახელოსნოში, მათ შორის შეამოწმეთ ხის ცენტრალური საამქროს ელექტრული კაბელები.

შეიმუშავეთ განვითარების სტრატეგია სახელოსნოებისა და დამატებითი ტექნოლოგიების გაფართოებასთან დაკავშირებით, საკუთარი რესურსებისა და გარე პროვაიდერებთან გააქტიურებული თანამშრომლობის კომბინაციით.

შეფასება

კომპონენტი 4.4. მატერიალური რესურსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
დიზაინის საბაკალავრო პროგრამა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
დიზაინის სამაგისტრო პროგრამა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი არის ფინანსურად სტაბილური და მდგრადი ორგანიზაცია.

პროგრამის დაფინანსება ხორციელდება საუნივერსიტეტო რეგულაციების მიხედვით. ბიუჯეტის ძირითადი წყარო არის სტუდენტთა გადასახადი. კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების დაფინანსება განსაზღვრულია საერთაშორისო დიზაინის სკოლის ბიუჯეტში, რომელსაც ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო. პროგრამების ბიუჯეტის კალკულაცია ხდება პროგრამის სასწავლო კომპონენტებისა და პრაქტიკების მიხედვით. ბიუჯეტის ხარჯების ნაწილი ითვალისწინებს პროგრამაში ჩართული პერსონალის ანაზღაურებას, აღჭურვილობას, ინვენტარს და სახარჯო მასალას, რომელიც საჭიროა სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად, არსებული ინფრასტრუქტურის ტექნიკური და კომუნალური ხარჯები, პროგრამის განვითარებისათვის გადასახდელი ყოველწლიური ინფრასტრუქტურული ხარჯები.

ფინანსური ანალიზი აჩვენებს, რომ პროგრამები არის მდგრადი, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტებით და ინტერვიუებით უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ვიზიტის დროს.

კლასტერში დაჯგუფებულ პროგრამებს აქვს თანდართული პროგრამული ბიუჯეტი, მათი მდგრადობა უზრუნველყოფილია პროგრამაზე სტუდენტთა მიღებით, რაც ბოლო 5 წლის განმავლობაში არის 253 სტუდენტი საბაკალავრო პროგრამაზე. ამას ემატება უცხოელი სტუდენტების და შიდა და გარე მობილობით მოსული სტუდენტთა რაოდენობა, რაც ზრდის სკოლის შემოსავალს და სრულად უზრუნველყოფს ორივე პროგრამის ფინანსურ სტაბილურობას. სტანდარტის ძირითადი პარამეტრები აღწერილია ორივე პროგრამის ბიუჯეტში, რომელიც ასე მოცემულია სკოლის ბიუჯეტში. სავარაუდო ხარჯებისა და შემოსავლების გათვალისწინებით, დიზაინის საერთაშორისო სკოლამ შეიმუშავა დამოუკიდებელი წლიური ბიუჯეტი, რომელსაც ამტკიცებს სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭო.

გასაუბრებისას პროგრამის ხელმძღვანელის მოადგილემ, უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ და ფინანსური სამსახურის უფროსმა ბიუჯეტზე ისაუბრეს. დაადასტურეს, რომ „დიზაინის“ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე სტუდენტთა რაოდენობა აბსოლუტურად უზრუნველყოფს სკოლის სტანდარტულ ხარჯებს და პროგრამის განვითარებისთვის განსაზღვრული სახსრების თვითკმარობას. უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას, მათ გამოავლინეს მზადყოფნა განავითარონ პროგრამები და მხარი დაუჭირონ უნივერსიტეტის სტრატეგიულ პროექტებს, მათ შორის არის საერთაშორისო დიზაინის სკოლის მიერ განხორციელებული პროგრამები, რომლებიც

მოთხოვნადია როგორც ქართველ, ასევე უცხოელ აპლიკანტებში. საზოგადოების მზარდი მოთხოვნა პროდუქტებსა და დიზაინის იდეებზე ზრდის მოთხოვნას კვალიფიციურ სპეციალისტებზე, რაც დადებითად აისახება კლასტერში დაჯგუფებულ პროგრამებში სწავლის გაგრძელების მსურველთა რაოდენობაზე.

დიზაინის საბაკალავრო პროგრამა

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის ადმინისტრირებასა და ბიუჯეტირებაში მსგავსების გამო, ზემოთ მოცემული ტექსტი სრულად ვრცელდება ორივე პროგრამაზე.

დიზაინის სამაგისტრო პროგრამა

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის ადმინისტრირებასა და ბიუჯეტირებაში მსგავსების გამო, ზემოთ მოცემული ტექსტი სრულად ვრცელდება ორივე პროგრამაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამის დაფინანსების წყაროები
- სტუ-ის ბიუჯეტი <https://gtu.ge/AboutStu/stu-budget.php>;
- ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა "დიზაინი"
- ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა "დიზაინი"

შეფასება

4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
დიზაინის საბაკალავრო პროგრამა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
დიზაინის სამაგისტრო პროგრამა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
დიზაინის საბაკალავრო პროგრამა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
დიზაინის სამაგისტრო პროგრამა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროგრამა იყენებს ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის სერვისებს და აგრეთვე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და გადახედვას. ხდება საჭირო ინფორმაციის მოპოვება, გაანალიზება და გამოყენება ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად და პროგრამის გასაუქმებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს უსდ-ის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების პროცესის განხორციელების დროს. პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტუ-ში ხარისხის შიდა უზრუნველყოფის საკითხებს კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლებთან ერთად, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 17 აპრილის 01-05-04/108 დადგენილებით დამტკიცებული „სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების“ საფუძველზე. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში პროგრამების ხარისხის შეფასებას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს.

ხარისხის უზრუნველყოფა მოქმედებს „დაგეგმე, გააკეთე, შეამოწმე, იმოქმედე“ ციკლის შესაბამისად და გამოიყენება შემდეგნაირად: (1) პროგრამის შემუშავება და დამტკიცება, (2) განხორციელება სასწავლო გეგმის მიხედვით; (3) მონიტორინგი, შეფასება და ანალიზი (სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვა, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგების ანალიზი და ა.შ.); (4) შედეგების განხილვა და პროგრამის ცვლილება.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტები ჩართულნი არიან გაწეული მომსახურების უწყვეტი მონიტორინგის პროცესში. მონიტორინგი ძირითადად ხდება სამიზნე ჯგუფების გამოკითხვით და სასწავლო პროცესზე დაკვირვებით. გამოკითხვის ფორმები მოიცავს ისეთი საკითხების შეფასებას, როგორცაა - საგანმანათლებლო პროგრამებით კმაყოფილება, სწავლის შედეგები, მენეჯმენტის პროცესების შეფასება, ინფრასტრუქტურა, განვითარების საჭიროებები, აკადემიური პერსონალის შეფასება, მატერიალური ბაზა და ა.შ. მიღებული ინფორმაციის შედეგების საფუძველზე ხდება მონაცემების დამუშავება, იდენტიფიცირდება ძლიერი და სუსტი მხარეები, ასევე პრობლემები და მათი გადაჭრის გზები.

უნივერსიტეტმა შეიმუშავა განათლების ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების შიდა შეფასების სისტემა, რომლის მიხედვითაც განხორციელდა წარმოდგენილი პროგრამის

შიდა შეფასება. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სრულად მიღწევის მიზნით, ჩატარდა კონსულტაციები პროგრამის ხელმძღვანელებთან და აკადემიურ პერსონალთან. მათ მიეცათ კონკრეტული რეკომენდაციები, რომლებიც გათვალისწინებული იყო პროგრამის შემუშავების პროცესში.

საერთაშორისო დიზაინის სკოლაში შექმნილი „ფაკულტეტის კომისია“ მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც პროგრამების გაუმჯობესებაში, ასევე ხარისხის შიდა შეფასებაში. კომისიის წევრები აქტიურად მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროგრამების განხილვის პროცესში და ჩართულნი არიან სასწავლო პროცესისა და შედეგების შეფასებაში. ისინი მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღებაში საგანმანათლებლო მიზნებისა და პროგრამების შედეგების დადგენისა და მათი მოდიფიკაციის შესახებ.

თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიუები აჩვენებს, რომ უნივერსიტეტი ატარებს საბაკალავრო პროგრამის შეფასებას აკადემიური და მოწვეული პერსონალის მონაწილეობით, ასევე ინტერვიუებს დაინტერესებულ მხარეებთან, სწავლობს ბაზარს, იკვლევს პროგრამის განვითარების ახალ შესაძლებლობებს და ახორციელებს მათ პროგრამაში.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და თვითშეფასების ანგარიშის შემუშავების პროცესში ჩართული პერსონალი მუშაობდნენ არა მხოლოდ ხარვეზების იდენტიფიცირებისთვის, არამედ გამოვლენილი სისუსტეების და მათი გამოსწორების ქმედებებისა და გზების გაანალიზებაზე, რაც დასტურდება ყოვლისმომცველი მიმოხილვით, როგორც თვითშეფასების ანგარიშის ნაწილი და დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრებით და შესაბამისი ანგარიშების ოქმები.

უნივერსიტეტში სასწავლო გეგმის შემუშავებისა და სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ ტარდება სხვადასხვა ღონისძიება და ტრენინგი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა წარმოადგინა აქტივობების სია (ტრენინგების, ღონისძიებების), რომლებიც ტარდება არსებული პროგრამების გაუმჯობესების მიზნით.

მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტები აღფრთოვანებულნი არიან დაწესებულების შესაძლებლობებით რადიკალურად მოახდინოს თავისი პროგრამების ადაპტირება და შემდგომი განვითარება, ჩვენ გაგვიკვირდა, რომ თვითშეფასების ანგარიშში საერთოდ არ იყო დოკუმენტირებული მომავალი გაუმჯობესების სფეროები. ჩვენ გვესმის სიძლიერების და წარმატებების ხაზგასმის სურვილი, მაგრამ აკრედიტაციის პროცედურისთვის კიდევ უფრო მომგებიანი იქნებოდა ინფორმაცია უკვე გამოვლენილი სუსტი მხარეების და შემდგომი გაუმჯობესების პროექტების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დიზაინის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამა
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში.

- სტუ-ში საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განვითარების და შეფასების წესი
- სტუ-ის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც დამტკიცდა სტუ-ის 2018 წლის 17 აპრილის 01-05-04/108 რეზოლუციით
- ბაზრის კვლევა;
- საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების სკოლის კომისიის ოქმები;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული.

კლასტერის საერთო რჩევები: გამოიჩინეთ უფრო გამჭვირვალე დამოკიდებულება მომდევნო თვითშეფასებისას და გაგვიზიარეთ გადაუჭრელი საკითხები, რომლებიც თქვენ იცით, როგორც სამომავლოდ გასაუმჯობესებელი სფეროები, რათა მაქსიმალურად ისარგებლოთ გარე შემფასებლებისგან.

შეფასება

კომპონენტი 5.1. შიდა ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
დიზაინის საბაკალავრო პროგრამა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
დიზაინის სამაგისტრო პროგრამა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი იყენებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გარე შეფასებისთვის. დიზაინის საგანმანათლებლო პროგრამის და სხვა საგანმანათლებლო პროგრამების წინა ვერსიაზე მიღებული რეკომენდაციებისა და რჩევების საფუძველზე, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს დიზაინის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის გადახედვას და დახვეწას.

პროგრამის გარე შეფასებას ახორციელებენ დამსაქმებლები და დამოუკიდებელი ექსპერტები, მათ შორის საერთაშორისო ექსპერტ-გარე შემფასებლების ჩართულობით სწავლის შედეგების, პროგრამის შინაარსისა და სტრუქტურის შემუშავებაში. ასევე პროგრამებს აფასებენ პროგრამის კურსდამთავრებულები თანამედროვე დასაქმების ბაზრისთვის საჭირო კომპეტენციებისა და უნარების კვლევის კუთხით.

შეფასების შედეგად მიღებული რეკომენდაციები გათვალისწინებულ იქნა პროგრამის მოდიფიცირებისას, დიზაინის საგანმანათლებლო პროგრამის საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის კვლევის გათვალისწინებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დიზაინის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამა
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- სტუ-ის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც დამტკიცდა სტუ-ის 2018 წლის 17 აპრილის 01-05-04/108 რეზოლუციით
- გარე ექსპერტების შეფასებები;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრები პროგრამის კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან

შეფასება

კომპონენტი 5.2. გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
დიზაინის საბაკალავრო პროგრამა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
დიზაინის სამაგისტრო პროგრამა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის გზით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტუ-ს ხარისხის სამსახურს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის, შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმები. საგანმანათლებლო პროგრამის

განხორციელების შეფასება ძირითადად ხდება სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვით და სასწავლო პროცესის მონიტორინგით. ყოველი სემესტრის ბოლოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კურსებსა და ლექტორებს აფასებს სტუდენტების გამოკითხვებზე დაფუძნებული კითხვარების მეშვეობით. კურსით სტუდენტების კმაყოფილების განალიზება და მიღებული შედეგების დამუშავება ხდება პროგრამის შემდგომი დახვეწისთვის.

დაინტერესებული მხარეების ჩართვა დიზაინის პროგრამის გაუმჯობესების პროცესში დასტურდება. დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის შემმუშავებელ პერსონალთან შეხვედრების ოქმები და დამსაქმებლების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება, რომელშიც აღწერილია მონაწილეთა შეფასებები და მათი რეკომენდაციები და რჩევები. ამ პროცესში ჩართულობას ადასტურებს ყველა დაინტერესებული მხარე ექსპერტთა ჯგუფთან შეხვედრების დროს; მათ დაასახელეს პროგრამის მენეჯერისთვის მათ მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინების კონკრეტული შემთხვევები.

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მიხედვით, ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლები ესწრებიან ლექციებს/პრაქტიკულ ტრენინგებს მონიტორინგისთვის, ანალიზებენ სტუდენტების აკადემიურ მოსწრებას და შეიმუშავენ შესაბამის რეკომენდაციებს საგანმანათლებლო პროგრამის ან ინდივიდუალური სასწავლო კურსის გასაუმჯობესებლად. შედეგებს ასევე აცნობენ პედაგოგებს და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციებსა და რჩევებსაც უზიარებენ. ამ ეტაპზე პროგრამებში არ გამოიყენება განმავითარებელი ურთიერთ შეფასება, რაც გულისხმობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის კოლეგების დასწრებასა და უკუკავშირის გაზიარებას სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. თუმცა, პროგრამის აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა აღნიშნა პროცესში ჩართვის სურვილი.

ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ახორციელებს სტუდენტების აკადემიურ მოსწრების მონიტორინგს, რომლის შედეგები მუშავდება სასწავლო კურსების, ლექტორებისა და სკოლების მიხედვით. თითოეული ფაკულტეტიდან მონაცემები განიხილება ფაკულტეტის საბჭოს მიერ. შეფასების შედეგებს იყენებს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია საგანმანათლებლო პროგრამებისა და აკადემიური პროცესის გასაუმჯობესებლად. უნივერსიტეტმა უზრუნველყო საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზის შედეგები, რათა უზრუნველყოფილი იყოს მექანიზმის ჩამოყალიბება და პროგრამის შედეგების შეფასება. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება პროგრამის ან/და შეფასების სისტემის მოდიფიცირება/ადაპტირება მისი განახლების უზრუნველსაყოფად

ჯერ კიდევ გასაკვირი იყო, რომ მოწვეული პერსონალის ზოგიერთმა წევრმა, როგორც ჩანს, არც იცოდა სტუდენტების მიმდინარე გამოკითხვების შესახებ და არც მიიღო ოფიციალური ანგარიშები საკუთარი კურსების შეფასების შედეგების შესახებ. ექსპერტები ვარაუდობენ,

რომ ეს არის მხოლოდ სტუდენტთა დადებითი გამოხმაურების შემთხვევები და პედაგოგს მხოლოდ უარყოფითი გამოხმაურების შემთხვევაში მიმართავენ. მიუხედავად ნდობისა, რაც შეიმჩნეოდა ინტერვიუების დროს, სადაც პედაგოგთა და სტუდენტთა მცირე რაოდენობა მონაწილეობდა და ისინი ღიად საუბრობდნენ სწავლა-სწავლების პროცესზე, ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ არაფორმალური და ანონიმური უკუკავშირი ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი კომპონენტია, და პედაგოგები უნდა იღებდნენ უკუკავშირს არა მხოლოდ პრობლემების, არამედ სტუდენტების მხრიდან დადებითი უკუკავშირის შემთხვევაშიც. ჩვენ გვესმის, უფრო ფორმალურ გარემოში მუშაობის გამოწვევა ქმნის უფრო მეტ ნდობას და ერთობლივი მუშაობის კულტრას, და ჩვენ მოვუწოდებთ სტუ-ს შეიმუშავოს ინსტრუმენტი და გადახოს ის უფრო ხელმისაწვდომი და რელევანტური ყველა მხრისთვის.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მექანიზმი არის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასება, რაც აისახება მათ მიერ წლიური ან სემესტრული ანგარიშების წარდგენაში. ანგარიშებში ასახულია ინფორმაცია მათი მიღწევების, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის, სტატიების გამოქვეყნების, მოზიდული ადგილობრივი თუ საერთაშორისო გრანტების შესახებ და ა.შ. აღნიშნული აქტივობა დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრებით დაინტერესებულ მხარეებთან და აკადემიური პერსონალის CV-ებიდან. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა ინფორმაცია აკადემიური და სამეცნიერო კვლევითი აქტივობების შესახებ.

პროგრამის თვითშეფასების პროცესში მოხდა პროგრამის შედარება უცხოურ უნივერსიტეტებში არსებულ მსგავს პროგრამებთან, რაც დასტურდება შესაბამისი ინტერვიუებით და ანალიზის შედეგებიც დოკუმენტირებულია.

ამ ანალიზის შედეგები არა მხოლოდ დოკუმენტირებულია, არამედ შემდგომი ცვლილებებისა და გაუმჯობესების საფუძველია ორივე საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დიზაინის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამა
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში.
- სტუ-ის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც დამტკიცდა სტუ-ის 2018 წლის 17 აპრილის 01-05-04/108 რეზოლუციით
- უცხოელი უნივერსიტეტების მსგავსი პროგრამების დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტი
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული.

კლასტერის საერთო რჩევები: დარწმუნდით, რომ კურსის შეფასების შედეგები ხელმისაწვდომია ყველა პასუხისმგებელი პედაგოგისთვის (ასევე მხოლოდ დადებითი გამოხმაურების შემთხვევაში) და ასევე მოწვეული პერსონალისთვის; დარწმუნდით, რომ არსებობს თუნდაც დაბალი დონის კომუნიკაცია ამის შესახებ.

შეფასება

კომპონენტი 5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
დიზაინის საბაკალავრო პროგრამა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
დიზაინის სამაგისტრო პროგრამა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
დიზაინის საბაკალავრო პროგრამა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
დიზაინის სამაგისტრო პროგრამა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

დანართი დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ არის მითითებული.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სახელწოდება, საფეხურები:

- დიზაინის საბაკალავრო პროგრამა (ეროვნული კვალიფიკაციები ჩარჩო დონე 6)
- დიზაინის სამაგისტრო პროგრამა (ეროვნული კვალიფიკაციები ჩარჩო დონე 7)

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

სარჩევი: სტანდარტი	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი
დიზაინის საბაკალავრო პროგრამა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
დიზაინის სამაგისტრო პროგრამა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ხელმოწერები

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ბერნარდ კერნეგერი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები

ლუკა ბერაია

ილია ზოცვაძე

მაია გრძელიძე